კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

გიორგი აბულაძე

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები გლობალიზაციის პირობებში

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ დუდაური, ეკონომიკის

დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2018

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი მეტად აქტუალურია, რადგან საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლებას მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში.

საქართველოს ეკონომიკის ზრდისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება, საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგების სტიმულირებითა და მხარდაჭერით. ქვეყანას აქვს დიდი საექსპორტო რესურსი, ყველასგან გამორჩეული პროდუქცია და დარგები, რომელიც ჩვენს ქვეყანას გამოარჩევს მთელ მსოფლიოში. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე განხილულია ის პრინციპები და მიდგომები, რომელთა პრაქტიკაში გატარება ხელს შეუწყობს ქვეყანაში საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგების განვითარებას.

ნაშრომის კვლევის ძირითადი მიზანია გლობალიზაციის პირობებში, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსისა და სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის შესწავლა, მისი ფორმირების, გამოყენების, განსაზღვრისა და შეფასების თეორიული ასპექტებისა და პრაქტიკული წინადადებების დამუშავება.

ნაშრომში განხილულია საექსპორტო პოტენციალის გაზრდასთან დაკავშირებული საკითხების ფართე სპექტრი. გაანალიზებულია საქართველოს ექსპორტ-იმპორტის განვითარების კანონზომიერებები და თანამედროვე მდგომარეობა, სახელმწოფოს როლი საგარეო ვაჭრობის რეგულირების სფეროში. განხილული და ჩამოყალიბებულია ქვეყნის ექსპორტზე ორიენტირებული დარგების ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები, ქვეყანაში ექსპორტის განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, გაკეთებულია პრაქტიკული დასკვნები.

Annotation

Ways to Increase Georgia's Export Potential in Globalization

Giorgi Abuladze

Master's thesis is very important, as the development of Georgia's economy is of great importance for Georgia's export potential in the globalization of world economy.

The maximum utilization of potential capabilities is important and important for Georgia's economic growth, stimulating and supporting the field of export potential. The country has a large export resource, distinctive products and industries from all over the world. Depending on the problem of actuality, the principles and approaches considered in practice in the development of the field of export potential in the country are discussed.

The main goal of the research is to analyze the balance sheet and commodity structure of Georgia, study the export potential of the country, theoretical aspects of its formation, use, defining and evaluation of practical proposals.

The paper discusses a wide range of issues related to the increase of export potential. Analyzes the export and import of Georgia's current and current state, the role of state in the field of foreign trade regulation. The main directions and priorities of the export-oriented fields of the country are discussed and analyzed, based on the analysis of the results of respondents on important issues for export development in the country, practical conclusions are made.

შინაარსი

შესავალ.....5

თავი 1. საერთაშორისო ვაჭრობა და მისი განვითარების ძირითადი ასპექტები.....10

1.1 საგარეო ვაჭრობის თეორიები და ძირითადი მახასიათებლები.....10

1.2 ექსპორტ-იმპორტის განვითარების კანონზომიერებები საგარეო ვაჭრობაში.....19

1.3 საგარეო ვაჭრობის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და გაუმჯობესების შესაძლებლობები 22

1.4 საგარეო ვაჭრობის რეგულირებაში სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა.....26

თავი 2. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის თანამედროვე მდგომარეობა და მისი შეფასება გლობალიზაციის პირობებში 31

2.1 საქართველოს ექსპორტ-იმპორტის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და მისი დინამიკა მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში.....31

2.2 საქართველოს ექსპორტის განვითარებაში არსებული პრობლემები და მათი დაძლევის გზები.....36

2.3 კვლევა საქართველოს ექსპორტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები.....39

თავი 3. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები გლობალიზაციის პირობებში 45

3.1 ქვეყნის ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარების ძირითადი პრიორიტეტები.....45

3.2 ქვეყნის ექსპორტზე ორიენტირებული ძირითადი დარგები და აგროპროდუქტები.....51
დასკვნა 61
გამოყენებული ლიტერატურა 66
დანართი.....71

შესავალი

თემის აქტუალობა. თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ტრენდი ეკონომიკური გლობალიზაციის გავლენის გათვალისწინებით არ ტოვებს რომელიმე ცალკე არსებული დარგის იზოლირებულად განვითარების საშუალებას. მსოფლიოს ყველა სახელმწიფო დაკავშირებულია ერთმანეთთან მრავალრიცხოვანი სამეურნეო კავშირებით და გარკვეულ წილად არიან ურთიერთდაკავშირებულნი. ქართული ეროვნული ეკონომიკის ზრდა მეტწილად განისაზღვრება სახელმწიფოს საექსპორტო შესაძლებლობებით და თანამედროვე ეტაპზე ეყრდნობა, უპირატესად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის ექსპორტს, რომლებსაც გააჩნიათ დაბალი დამატებითი ღირებულება.

დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაა ჩართული, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ თავისი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს საკუთარი წარმოება და მოსახლეობა. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება რესურსების, სამომხმარებლო პროდუქციისა და მომსახურების იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვის ძირითადი წყაროა ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სახელმწიფოს ფორმირებაზე გლობალიზაციის პროცესი ძირითადად ორი მიმართულებით მოქმედებს: მსოფლიოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს საქართველოს პოლიტიკური სივრცის მოდერნიზაციაზე და გამომდინარე აქედან, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის გამოცდილება; გამომდინარე, იქიდან, რომ საქართველოს როლი გლობალურ სივრცეში თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით კიდევ უფრო გაიზარდა, ამ უკანასკნელის გამოყენებით საჭიროა სწორი გზების გამონახვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და არსებული სიძნელეების დასაძლევად [ბიძინაშვილი თ. 2016. 5].

საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებაში საგარეო ვაჭრობას გადამწყვეტი როლი აკისრია, ძირითადად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებს, უნდა გატარდეს შესაბამისი მარკეტინგული ღონისძიებები, რომლის შედეგად საქართველო შეძლებს თავისი ადგილის დამკვიდრებას მსოფლიო ბაზარზე, ძირითადად ეს უნდა მოხდეს ისეთ დარგების მიმართ, რომელთაც გააჩნიათ გარკვეული პერსპექტივები თავიანთი პროდუქციის ქვეყნის გარეთ გატანის მხრივ. ასეთ დარგებში შეიძლება ჩაითვალოს მევენახეობა და ღვინის მრეწველობა, მეხილეობა და საკონსერვო მრეწველობა, მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა, მეციტრუსეობა და ციტრუსის გადამამუშავებელი მრეწველობა. მისაღები და აუცილებელი იქნება, თუ საქართველოში გატარდება პროტექციონისტული პოლიტიკა იმ საქონლის იმპორტზე, რომლის წარმოებაც საქართველოს შეუძლია და აწარმოებს კიდეც (მაგალითად, ალკოჰოლური სასმელები და სხვა). უნდა გაიზარდოს საბაჟო გადასახადი იმპორტზე, გარდა იმ საქონლისა, რომელსაც ან არ აწარმოებენ, ან მცირე რაოდენობით იწარმოება. ამ ყველაფერთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის დონის ამაღლებას, თითოეული ქვეყანა განსხვავებულ

ვალუტას იყენებს და იმისათვის, რომ სხვა ქვეყნიდან შეძენილი საქონლისათვის ანგარიშსწორება მოხდეს, უნდა იქნეს შეძენილი იმ ქვეყნის ვალუტა, ე.ი. თავისი ქვეყნის ვალუტა უნდა გაიცვალოს სხვა ქვეყნის ვალუტაზე.

მსოფლიო მასშტაბით, გლობალიზაციას გააჩნია დადებითი მხარეები, მაგრამ ამავე დროს იგი არაა დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან. საყოველთაოდა ცნობილი ის ფაქტი, რომ განვითარებული ქვეყნების კომპანიებს თავიანთი წარმოება პირველ რიგში გადააქვთ განვითარებადი ქვეყნების ტერიტორიაზე. სადაც შრომის კანონმდებლობა და გარემოს დაცვის შესახებ არსებული ნორმები, დანახარჯების მოთხოვნის თვალსაზრისით იმდენად მსუბუქია, რომ თითქმის არ არსებობს დაცვის აუცილებლობა. ამიტომ ეს კომპანიები თავის ვალდებულებად არ მიიჩნევენ მათ შესრულებას.

საგარეო ვაჭრობის კლასიკური, ნეოკლასიკური და ალტერნატიული თეორიების მიერ შემოთავაზებული ფორმალიზაცია აადვილებს საერთაშორისო ვაჭრობიდან მოსალოდნელი ეფექტების, საერთაშორისო ვაჭრობის პირობების, შემოსავლების მნიშვნელოვანი გადიდების საერთაშორისო ვაჭრობაზე გავლენის, იმპორტჩანაცვლებადი ეკონომიკური ზრდის და სხვა მსგავსი პრობლემის კვლევას ორ ზონიან ასპექტში.

საქართველო აგრარული ქვეყანაა. აქედან გამომდინარე ნებისმიერი სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხის განხილვის დროს აუცილებლად უნდა მოხდეს აგრარული ქვეყნისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინება. სწორედ საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებაში და განსაკუთრებით ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის რაციონალიზაციის საქმეში, მთავარი როლი თანამედროვე აგრარულმა ურთიერთობებმა უნდა ითამაშოს.

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე რადიკალურმა რეფორმებმა, საზოგადოების დემოკრატიისაკენ აღებულმა კურსმა და მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში ინტეგრაციის მცდელობამ ცალსახად დაგვანახა, რომ

საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად უნდა იქცეს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდის სტიმულირება, როგორც ტრადიციულ, ასევე ახალ, აუთვისებელ ბაზრებზე. ექსპორტის ზრდის მეშვეობით ქვეყანა უზრუნველყოფს ექსპორტ-იმპორტის მეტ-ნაკლებ დაბალანსებასა და ექსპორტით მიღებული შემოსავლის მეშვეობით აუცილებელ იმპორტზე ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ადგილობრივი წარმოების გაფართოებასა და შესაბამისად მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

ამრიგად, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაზრდის საკითხები, ორგანიზაციულ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების ნაკრების ფორმულირება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობების გადიდებას არსებული ობიექტური უპირატესობების გამოყენებით, წარმოადგენს მეტად აქტუალურსა და დროულს. იგი დაეხმარება ქვეყანას ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში, როგორიცაა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდა მსოფლიო ბაზრებზე, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოების დაბალანსებულ განვითარებასა და მოსახლეობაში სოციალური დაძაბულობის შემცირებას, ყოველივე ეს კი მოითხოვს საკითხის შესაბამის მეცნიერულ გააზრებას.

აღნიშნული საკითხების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში საექსპორტო დარგების სტიმულირებისათვის, რაც თავის მხრივ დადებითად იმოქმედებს საექსპორტო პოტენციალის გარდაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს არჩეული საკვლევი თემის აქტუალობა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს, გლობალიზაციის პირობებში, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსისა და სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის შესწავლა, მისი ფორმირების, გამოყენების, განსაზღვრისა და შეფასების თეორიული ასპექტებისა და პრაქტიკული წინადადებების დამუშავება, ყველა არსებული რესურსის სწორი გამოყენების რეალური გზების დასახვა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად ამოცანების გადაწყვეტაზე:

- საგარეო ვაჭრობის ძირითადი თეორიებისა და მახასიათებლების განხილვა და ანალიზი;
- საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შესწავლა;
- მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში საქართველოს საექსპორტო პოტენციალის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება და ანალიზი;
- საქართველოს ექსპორტის განვითარებაში არსებული პრობლემების ანალიზი და მათი დაძლევის გზების დასახვა;
- გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრირების პროცესში საერთაშორისო ვაჭრობის როლისა და მნიშვნელობის გამოვლენის შეფასება.
- საქართველოს ექსპორტის განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ქვეყნის ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარების ძირითადი პრიორიტეტები განსაზღვრა.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანს წარმოადგენს გლობალიზაციის პირობებში საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების ძიება, ექსპორტის მწარმოებელი დარგების მოტივაციის ამაღლების მეთოდების კვლევა და ანალიზი. ხოლო ობიექტს კი საქართველოს ექსპორტზე ორიენტირებული პრიორიტეტული და პერსპექტიული დარგები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ქართველი და უცხოელი მეცნიერების ფუნდამენტური გამოკვლევები, სხვადასხვა მკვლევართა ანალიტიკური ნაშრომები, აღმასრულებელი ხელისუფლების საინფორმაციო-სტატისტიკური და

ანალიტიკური მასალები. კვლევის პროცესის სწორად წარმართვისათვის ნაშრომში გამოყენებულია სისტემური ანალიზის, ეკონომიკური, ლოგიკური, ანალიზისა და სინთეზის, რაოდენობრივი (მასობრივი გამოკითხვის), ეკონომიკურ-სტატისტიკური და სხვა მეთოდები.

რით განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისაგან. ნაშრომში, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლისა და შეფასების, ასევე საქართველოს ექსპორტის განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, გაკეთებულია პრაქტიკული დასკვნები. რის დახმარებითაც საექსპორტო პოტენციალის გაზრდის პერსპექტივების შემუშავებისას გამოკვეთილია პრიორიტეტული მიმართულებები.

თავი 1. საერთაშორისო ვაჭრობა და მისი განვითარების ძირითადი ასპექტები

1.1. საგარეო ვაჭრობის თეორიები და ძირითადი მახასიათებლები

ადამიანთა ერთობებს შორის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია, რამაც შემდგომი განვითარების შედეგად საერთაშორისო ვაჭრობის სახე მიიღო. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის, უფრო კონკრეტულად კი, ამ ქვეყნების საქონელმწარმოებელთა შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობების ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი ფორმაა. დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაა ჩართული, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ თავისი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს საკუთარი წარმოება და მოსახლეობა. შრომის საერთაშორისო დანაწილების

პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება რესურსების, სამომხმარებლო პროდუქციისა და მომსახურების იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვის ძირითადი წყაროა ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით. საერთაშორისო ვაჭრობა კაცობრიობის განვითარების კვალდაკვალ ვითარდებოდა და თანამედროვე ეტაპზე სავაჭრო საქმიანობის შემდეგი სფეროები ჩამოყალიბდა:

- საქონლით ვაჭრობა სამომხმარებლო პროდუქტები და რესურსები, მანქანა-მოწყობილობები, ნედლეული და სხვ.
- მომსახურეობითი საგარეო ვაჭრობა (სატრანსპორტო, კომუნალური, ტურისტული, საფინანსო-საკრედიტო, სადაზღვევო, საინფორმაციო-გამოთვლითი, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვ.).
- ვალუტით ვაჭრობა (ერთი ქვეყნის ფულის გაცვლა მეორე ქვეყნის ფულის გაცვლაზე). ვალუტა საკრედიტო-საფინანსო საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი ორგანული ნაწილია და საგარეო ვაჭრობის სფეროს ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს.
- ინტელექტუალური საკუთრებით (საავტორო უფლება, საპატენტო უფლება და ა.შ.) ვაჭრობა.

საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის ყველაზე ადრეულ ფორმას წარმოადგენს. თანამედროვე მსოფლიოში მასზე საერთაშორისო ეკონომიკური ბრუნვის 80% მოდის. მისი სწრაფი განვითარება დაიწყო XVI-XVII საუკუნეებში, კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად. მას შემდეგ მან თანდათანობით ევოლუცია განიცადა და მისი თანამედროვე ვარიანტი საკმაოდ სახეშეცვლილია. საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობს ფართო კვლევა-ძიება და დისკუსიები საგარეო ვაჭრობის როლსა და ადგილზე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. ამ საკითხთან დაკავშირებით პირველად თავიანთი შეხედულებები ჩამოაყალიბეს მერკანტილისტებმა (XVI-XVII სს.).

საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელობის განსაზღვრა და მისი მიზნების ფორმულირება მერკანტილისტების ეკონომიკურ სწავლებაში დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმის ხანის ბოლო და კაპიტალიზმის ჩასახვის სტადიაზე იქნა ჩამოყალიბებული. მერკანტილიზმის შეხედულებები საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ პირველ ეკონომიკურ თეორიად არის მიჩნეული. ეს თეორია ინგლისში წარმოიშვა, რადგან ეს ქვეყანა კაპიტალიზმის გზას ყველაზე ადრე დაადგა მიმოქცევის განმსაზღვრელი როლის თეზისებიდან გამომდინარე, რომელსაც ეფუძნებოდა მერკანტილისტების შეხედულებები, ქვეყნის სიმდიდრედ მიჩნეულ იქნა ფასეულობები, რომელიც წარმოდგენილი იყო ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების რაოდენობით. ამიტომაც მერკანტილიზმის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ ოქროს მარაგის ზრდა წარმოადგენს სახელმწიფოს მთავარ ამოცანას, ხოლო საგარეო ვაჭრობამ უნდა უზრუნველყოს, პირველ რიგში, ოქროს შემოდინება, ეს კი შესაძლებელი იყო აქტიური სავაჭრო ბალანსის პირობებში.

მერკანტილიზმი, თავის მხრივ, მოითხოვდა საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ანუ მკაცრი კონტროლის დაწესებას საერთაშორისო გაცვლის სფეროზე. სავაჭრო პოლიტიკა ორიენტირებული იყო ექსპორტის ყოველმხრივ წახალისება-ხელშეწყობაზე. განასხვავებენ ადრინდელ და გვიანდელ მერკანტილიზმს. ადრინდელი მერკატილიზმის თეორიაში მთავარია ფულადი ბალანსი. ვინაიდან მისი წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ ქვეყნის სიმდიდრე განისაზღვრებოდა ფასეულობათა (ძვირფასი ლითონების ოქროსა და ვერცხლის) ფლობით. ამიტომ აუცილებლად თვლიდნენ ექსპორტის გაზრდას და იმპორტის შემცირებას, ასევე ძვირფასი ლითონების ქვეყნიდან გატანის აკრძალვას. ეს მიდგომა აფრთხობდა უცხოელ ვაჭრებს და ხელს უშლიდა საერთაშორისო ვაჭრობის შემდგომ განვითარებას.

გვიანდელი მერკანტილისტები ფულადი ბალანსის მონეტარულ თეორიას ცვლიან აქტიური სავაჭრო ბალანსის თეორიით, ხოლო აქტიური ბალანსის მიღწევის

საშუალებად ისინი ქვეყნიდან მზა ნაწარმის ექსპორტის ზრდასა და მოცემულ ქვეყანაში ძვირფასი ლითონების დაგროვებას მიიჩნევდნენ. გვიანდელი მერკანტილიზმის მთავარ პოსტულატს წარმოადგენდა ის, რომ ქვეყნის სიმდიდრის გასაზრდელად საჭიროა ქვეყანაში ფულის უფრო მეტი რაოდენობის შემოდინება მის გადინებასთან შედარებით .

ა. სმითის აბსოლუტური უპირატესობის თეორიის თანახმად, ქვეყანამ უნდა აწარმოოს ის პროდუქტები, რომლებზეც მას შეუძლია დახარჯოს ნაკლები, ვიდრე სხვა ქვეყნები ხარჯავენ. მან უნდა მოახდინოს ამ პროდუქტების ნამეტის ექსპორტი და შემოიტანოს ის პროდუქტები, რომელთა წარმოებაც ძვირი უჯდება. თეორიაში განსაზღვრულია ქვეყნის სიდიდის მნიშვნელობა. მისი აზრით, დიდი ფართობის მქონე ქვეყნებს მცირე ფართობის მქონე ქვეყნებთან შედარებით, უფრო მეტად შეუძლიათ თვითუზრუნველყოფა ეკონომიკური თვალსაზრისით, ვინაიდან მრავალფეროვანი კლიმატური და ბუნებრივი რესურსების დიდი პოტენციალი გააჩნიათ. ამასთან დაკავშირებით გასაზიარებელია ზოგიერთ მეცნიერთა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ა. სმითის დიდი ფართობის მქონე ქვეყნების ეკონომიკური უპირატესობის თეორიის სისწორე საერთაშორისო ეკონომიკური პოზიციებიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში მიუღებელია, რადგან თუ ქვეყანას მომგებიანი გეოგრაფიული მდგომარეობა, ხელსაყრელი კლიმატური პირობები და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები გააჩნია, ტერიტორიული სიმცირე შეიძლება მომგებიანიც კი იყოს. მაგალითად, საქართველოს მცირე ტერიტორიის გამო დაბალი სატრანსპორტო დანახარჯების და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობის, ასევე კლიმატური მრავალფეროვნების ხარჯზე შეუძლია წარმატებით განავითაროს საკურორტო საქმიანობა, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები და წიაღისეულის მომპოვებელი მრეწველობა. მოგვიანებით ადამ სმითის იდეები აღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით, განავითარა და გაამდიდრა დევიდ რიკარდომ,

რომელმაც გააგრძელა კვლევა და შეიმუშავა „შეფარდებითი უპირატესობის თეორია“(გ. ერქომაიშვილი, გ. გრიგალიშვილი, დ. ნარმანია 2011).

ამ თეორიის თანახმად, ვაჭრობა მომგებიანია აბსოლუტური უპირატესობის არარსებობის შემთხვევაშიც, კონკრეტულად მაშინ, თუ ქვეყნები სპეციალდებიან იმ საქონლით ვაჭრობაზე, რომელთა წარმოებაც მათ სხვა საქონელთან შედარებით ნაკლები დანახარჯებით შეუძლია. თავისი მთავარი ნაშრომი: „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“ დ. რიკარდომ მიუძღვნა იმ საკითხების კვლევას, თუ როგორ მოქმედებს წარმოების ზრდაზე მიღებული შემოსავლის განაწილება რენტის მოგებისა და ხელფასის სახით. დ. რიკარდომ ა. სმითის მსგავსად შეფარდებითი უპირატესობა განსაზღვრა როგორც განსხვავება დანახარჯებს შორის, მაგრამ არა აბსოლუტურ, არამედ შეფარდებით დანახარჯებს შორის სხვა ქვეყნებთან შედარებით. ყოველი ქვეყანა ცდილობს აწარმოოს და განახორციელოს საქონლის ექსპორტირება შეფარდებით ნაკლები დანახარჯებით. იმ შემთხვევაში, თუ ეს დანახარჯები ყველა საქონელზე აჭარბებს სხვა ქვეყნისას, ფართოვდება შეფარდებით იაფი საქონლის წარმოების სპექტრი, ვინაიდან მისი ექსპორტი საშუალებას იძლევა მოხდეს იმ საქონლის იმპორტირებისთვის საჭირო სახსრების მიღება, რომელი საქონლის წარმოება ამ ქვეყანას კიდევ უფრო (შეფარდებით) ძვირი უჯდება. ამის შედეგად იზრდება საგარეო ეკონომიკური კავშირების შესაძლებლობები. დ. რიკარდოს შეფარდებითი უპირატესობის თეორია, მიუხედავად იმისა, რომ ითვალისწინებდა საქონლის ღირებულების განსაზღვრას დახარჯული შრომით, უკვე არსებითად ითვალისწინებდა ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის გავლენას, რაც მას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებთან აახლოებდა.

დ. რიკარდოს შეფარდებითი უპირატესობის თეორიამ XX საუკუნის 30-იან წლებამდე, მთელ რიგ მეცნიერთა მცდელობის მიუხედავად მასში შეეტანათ შესწორებები, სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნა. ამ თეორიის კრიტიკის ერთ-ერთ

უმთავრეს საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ იგი მოწყვეტილი იყო ეკონომიკური ცხოვრებისაგან და დანახარჯების წყაროდ მხოლოდ შრომას განიხილავდა. შედეგად წარმოიშვა წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის თეორია, რომელშიც ძირითად ფაქტორებად გამოყვანილი იყო შრომა, მიწა და კაპიტალი.

XX საუკუნის დასაწყისში შვედმა ეკონომისტებმა ელის ჰექშერმა (1879- 1952) და ბერტილ ოლინმა (1899-1979) დაამუშავეს წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის თეორია. აღნიშნულ თეორიაში შეფარდებითი უპირატესობების განსაზღვრას მათ საფუძვლად დაუდეს წარმოების ფაქტორთა თანაფარდობა და ურთიერთკავშირი. მათი აზრით, ღია ეკონომიკაში ქვეყანა ცდილობს დასპეციალდეს იმ საქონლის გამოშვებაზე, რომლის უზრუნველყოფისთვისაც აქვს ჭარბი ფაქტორები. წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის თეორიის მიხედვით ნებისმიერი პროდუქციის დასამზადებლად აუცილებელი წარმოების სამი ფაქტორი (მიწა, შრომა და კაპიტალი) თითოეულ ქვეყანას განსხვავებული ოდენობით გააჩნია და ერთგვაროვანი პროდუქციის საწარმოებლად ამ ფაქტორების სხვადასხვა დანახარჯებს ეწევა. წარმოების ფაქტორთა განსხვავებული ღირებულება ქვეყანაში იმ საქონლის წარმოებას ასტიმულირებს, სადაც ამისათვის საჭირო ფაქტორები
ჭარბი და იაფია“(გ. ერქომაიშვილი, გ. გრიგალიშვილი, დ. ნარმანია 2011).

საერთაშორისო ვაჭრობის ეს თეორიები წინგადადგმული ნაბიჯი იყო მერკანტილიზმის შემდეგ, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას პროტექციონიზმსა და ჩაკეტილობისაკენ უბიძგებდა. ა. სმითისა და დ. რიკარდოს ნაშრომებმა დიდი როლი შეასრულეს თანამედროვე მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. მოგვიანებით, XX საუკუნის 50-იან წლებში მსოფლიოში ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა პოლ სამუელსონმა (1915-2009) და ავსტრიელი წარმოშობის ამერიკელმა მეცნიერ-ეკონომისტმა ვოლფგანგ ფრიდრიხ სტოპლერმა (1912-2009) განავითარეს ჰეკშერ-ოლინის შეხედულებები იმის შესახებ, რომ თავისუფალ ვაჭრობას შეუძლია მიგვიყვანოს წარმოების ფაქტორების ფასების შედარებით და აბსოლუტურ

გათანაბრებამდე. იქმნება იდეალური სქემა, ქვეყნებში მაღლდება მწარმოებლურობა, ფართოვდება კონკურენცია.

უნდა აღინიშნოს, რომ რეალურ სამყაროში სამუელსონის თეორია ფართოდ გამოიყენება შედარებით მოკლე დროისათვის თანამედროვე მრავალფაქტორულ სისტემაში ექსპორტ-იმპორტზე კონკურენციაში. პ. სამუელსონის მიერ ჰექშეროლინის თეორიის შემდგომმა განვითარებამ ჰპოვა ლოგიკური დასასრული, რომელშიც დასაბუთებულია იდეა წარმოების ფაქტორებზე ფასების გამოთანაბრების შესახებ.

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ეტაპები: დანერგვის ეტაპი: ქვეყნის ადგილობრივი ბაზარი უბიძგებს მწარმოებელს ამა თუ იმ პროდუქციის შექმნისკენ. განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის შემოსავლის და წარმოების ტექნიკური დონე, კვალიფიციური კადრების არსებობა, პროდუქციის წარმოების ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ამ ეტაპის დასკვნით სტადიაზე ახალი პროდუქცია თანდათანობით სხვა ქვეყნის ბაზარსაც იკავებს.

ზრდის ეტაპი: დანერგვის ეტაპზე საქონლის გასაღების ზრდა კონკურენტების მასტიმულირებელია. ამ ეტაპზე ტექნოლოგიური პროცესი შედარებით სრულყოფილი ხდება, კონკურენტული ურთიერთობა ძლიერდება, იზრდება კაპიტ-
ალდაბანდებები და იწყება წარმოების საზღვარგარეთ განვითარება.

სიმწიფის ეტაპისათვის დამახასიათებელია საბაზრო სივრციდან პირველი მწარმოებლის თანდათანობით შევიწროება-განდევნა, ხოლო კონკურენციის მნიშვნელოვანი იარაღი ფასი ხდება. მსხვილი სერიული წარმოება საზღვარგარეთული საწარმოებისათვის ხელმისაწვდომი ხდება, რაც ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და შესაძლებლობას ქმნის აღნიშნული პროდუქციის წარმოება და გასაღება განვითარებად ქვეყნებში იქნეს გატანილი, სადაც არაკვალიფიციური, მაგრამ შედარებით იაფი სამუშაო ძალაა, რომელიც სტანდარტულ სამუშაო პროცესში ეფექტიანად გამოიყენება.

დაქვეითების ეტაპი: სიმწიფის ეტაპზე გამოვლენილი ფაქტორების ზემოქმედება თანდათანობით ძლიერდება და საქონლის რეალიზაციის მოცულობა მნიშვნელოვნად მცირდება, მოწინავე ფირმები ქმნიან სპეციალურ ჯგუფებს, რომლებმაც უნდა შეისწავლონ ვითარება და გამოიტანონ დასკვნა: დატოვონ საქონლის წარმოება უცვლელად თუ შეცვალონ მარკეტინგული სტრატეგია ან თუ მოხსნან საქონელი წარმოებიდან.

სახელმწიფოთა შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაში მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ფართო გავრცელება ჰპოვა თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონებმა. 2015 წლისათვის მსოფლიოში ფუნქციონირებდა ოთხი ათასზე მეტი სხვადასხვა სახის თავისუფალი ეკონომიკური ზონა (საბაჟო ზონებიდან ტექნოპარკამდე, თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან ოფშორულ ზონებამდე). თავისუფალი ეკონომიკური ზონები წარმოადგენენ ეროვნული ეკონომიკის სივრცის ნაწილს, სადაც მოქმედებს შეღავათებისა და სტიმულირების ისეთი განსაკუთრებული სისტემა, რომელიც ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში არ გამოიყენება, როგორც წესი, თავისუფალი ეკონომიკური ზონა წარმოადგენს განცალკევებულ გეოგრაფიულ ტერიტორიას (Dr. K. Khan, S. Anwar 2017.).

თავისუფალი ეკონომიკური ზონის ცნების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მიუხედავად ამისა, თანამედროვე პირობებში მიღებულია მისი შედარებით მარტივი განმარტება, რომლის თანახმად, თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში იგულისხმება საბაჟო გადასახადის გარეშე ვაჭრობა და სასაწყობო ზონა, რომელიც რჩება ეროვნული ტერიტორიის ნაწილად ფისკალური რეჟიმის თვალსაზრისით, მაგრამ განიხილება, როგორც საზღვარგარეთ მყოფი ტერიტორია.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას მათი დამწესებლები განიხილავენ, როგორც მნიშვნელოვან რგოლს ღია ეკონომიკის პრინციპების რეალიზაციაში.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების ეკონომიკას აქვს გარე სამყაროში გახსნილობის მაღალი ხარისხი, რაც ხელსაყრელია საგარეო და შიდა ინვესტიციებისათვის.

ფაქტობრივად, თავისუფალი ეკონომიკური ზონები წარმოადგენს თავისებურ „მახეს“ მსოფლიო მეურნეობის მასშტაბებში მიგრირებადი კაპიტალისათვის. გარდა უცხოური კაპიტალის მოზიდვისა, საწარმოები თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას უკავშირებენ სამ ძირითად ამოცანას:

- სამრეწველო ექსპორტის სტიმულირება და ამ საფუძველზე, სავალუტო სახსრების მიღება;
- დასაქმების ზრდა;
- ზონების გადაქცევა მეურნეობრიობის ახალი მეთოდების გამოცდის პოლიგონად, ეროვნული მეურნეობის ზრდის პოლუსად.

საქართველოს ტერიტორიაზე პირველი თავისუფალი ეკონომიკური ზონა შეიქმნა ქ. ბათუმში, ე.წ. პორტო-ფრანკოს სახით, რომელიც სარგებლობდა საბაჟო შეღავათებით, როგორც უცხოური საქონლის შემოტანაზე, ისე ადგილობრივი საქონლის გატანაზე. უკვე 1881 წლიდან ბათუმის ნავსადგურის საშუალებით დაიწყო ინტენსიური ტვირთბრუნვა და სავაჭრო ურთიერთობების განვითარება ევროპისა და აზიის ქვეყნებთან. მომდევნო პერიოდში ტრანსკავკასიური სარკინიგზო ხაზის შექმნამ ბათუმის სამტრედია-თბილისი-სოხუმის სარკინიგზო ხაზის გაყვანამ ხელი შეუწყო ტვირთბრუნვის გაფართოებას. ევროპული საქონლის დიდი რაოდენობა იმპორტი და სავაჭრო ურთიერთობის განვითარება იმდროინდელ რუსეთის ხელისუფლებას ნაკლებად აწყობდა და 1886 წელს ბათუმის პორტ-ფრანკოს სტატუსი გააუქმა. საქართველოში უკანასკნელ პერიოდში კვლავ დაისვა საკითხი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ, რადგან იგი სწორედ მოწოდებულია შეასრულოს თავისი როლი ექსპორტ-იმპორტის განვითარებაში და ქვეყნებს შორის საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების სტიმულირებაში. საქართველოს

მთავრობა ბოლო რამდენიმე წელია მუშაობს ამ საკითხებზე და 2008 წლის 3 ივნისს მიიღო დადგენილება #131 „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“. ამ დადგენილებით დამტკიცებულ იქნა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისათვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი და წესები, რომლის მიხედვითაც უნდა იფუნქციონიროს ამ ზონამ, ხოლო საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის #72 დადგენილებით „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“, ქალაქი ფოთი გამოცხადდა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონად.

ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა შორის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების თეორიული ასპექტები არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთი თეორიით ან ერთი ფაქტორით. ამიტომ მათ კომპლექსურ და ურთიერთკავშირში განხილვას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და რეგულირებისათვის.

1.2. ექსპორტ-იმპორტის განვითარების კანონზომიერებები საგარეო ვაჭრობაში

საერთაშორისო ვაჭრობაში საქონლის ექსპორტ-იმპორტის განვითარება მრავალ ობიექტურ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს არის იმ ობიექტურად არსებული ძალების ერთობლიობა, რომლებიც მოქმედებენ საერთაშორისო ვაჭრობის ძირითად მიმართულებებზე, ტემპებზე და პროპორციებზე. ეს ძალები შეიძლება იყოფოდეს მიკროგარემოდ და მაკროგარემოდ. მიკროგარემოში მოქმედებენ მიმწოდებლები, შუამავლები, მომხმარებლები, კონკურენტები და საკონტაქტო აუდიტორია წარმოების, მოხმარებისა და რეალიზაციის ადგილობრივ პირობებში. მაკროგარემოს ობიექტური ძალებიდან აღსანიშნავია ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორები, ეკონომიკური გარემო

ფართო გაგებით, დემოგრაფიული გარემო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო.

აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედებით საერთაშორისო საქონლის იმპორტ-ექსპორტის განვითარება რიგი ძირითადი ტენდენციებით ხასიათდება.

საერთაშორისო ვაჭრობაში ექსპორტ-იმპორტის ძირითადი კანონზომიერებები თანამედროვე ეტაპზე შეიძლება შემდეგი თანმიმდევრობით განვიხილოთ.

პირველი, იმის გამო, რომ საშინაო ბაზარზე ვაჭრობის კონიუნქტურა იცვლება, საქონლის გასაღებაში სიძნელეები იქმნება, საშემოსავლო გადასახადები იზრდება, ხოლო, მეორეს მხრივ, სულ უფრო მიმზიდველი ხდება საგარეო ბაზრების გამოჩენა, რა თქმა უნდა, მაღალი ტემპებით, სისტემატურად იზრდება საერთაშირისო ვაჭრობის საქონელბრუნვის მოცულობა, ანუ ექსპორტ-იმპორტის სახით შესრულებული საქონელბრუნვის მოცულობა.

მეორე - საერთაშორისო ვაჭრობის შესწავლის დროს, ირკვევა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას, საბაჟო ტარიფებს, გადასახადებს საქონლის შეტანაზე, ქვოტას, ანუ საქონლის რაოდენობრივ ზღვარს, რის შეტანის ნებაც არის დართული ექსპორტიორი ქვეყნის მთავრობის მიერ, ემბარგოს წესი, ანუ ცალკეული საქონლის შეზღუდვის მთლიანად აკრძალვა და სხვა პირობები. აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედების გამო, საერთაშორისო ვაჭრობაში საქონლის ექსპორტ-იმპორტის ერთ-ერთ ძირითად კანონზომიერებას წარმოადგენს საერთო ბრუნვაში, მაღალი ტემპებით, იმპორტის ხვედრითი წილის სისტემური ზრდა, ექსპორტთან შედარებით. ამავე დროს, იმპორტის მოცულობა რამოდენიმეჯერ აღემატება ექსპორტის მოცულობას, როგორც მთლიანად მსოფლიოს მასშტაბით, ასევე თითქმის ყველა ქვეყნის მიხედვითაც.

მესამე - საერთაშორისო ვაჭრობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკას, მის სამეურნეო სტრუქტურას, რაც განსაზღვრავს მისი მოსახლეების და დარგების მოთხოვნილებას. მთელი რიგი განვითარებადი ქვეყნები უპირატესად

ნატურალური ტიპის მეურნეობით და ნედლეულის ექსპორტით ხასიათდებიან, როგორიცაა ეგვიპტე, ფილიპინები, ინდოეთი, ბრაზილია და სხვა, სადაც მოთხოვნა ძირითადად იმპორტით კმაყოფილდება. ამერიკის და ევროპის ცივილიზებული ქვეყნები განვითარებული სამრეწველო ქვეყნებია, რომლებიც ძირითადად ვაჭრობენ სამრეწველო საქონლით. ამ მომენტების მოქმედების გამო, თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობისათვის ერთ-ერთ ძირითად კანონზომიერებად გვევლინება საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში სამრეწველო საქონელბრუნვის უპირატესი ზრდა, სასურსათოსთან შედარებით. თუმცა საქართველოსათვის ეს ტენდენცია უკანასკნელ წლებში არ შეინიშნებოდა განვითარებული კრიზისული მოვლენების გამო.

მეოთხე - საერთაშორისო ვაჭრობაში საქონლის ექსპორტ-იმპორტის განვითარებას განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობაც. კერძოდ, მდგომარეობა იმის შესახებ, თუ როგორია ამა თუ იმ ქვეყნის დამოკიდებულება საზღვარგარეთ შესყიდვებისადმი, ხოლო ინვესტიციების შემოდინება კი ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა შეზღუდვებისა და წახალისების მექანიზმი, სამუშაო ძალის გამოყენების პირობები, ინვესტორებისადმი დამოკიდებულება, პოლიტიკური სტაბილურობა, შეზღუდვები ვალუტის გაცვლაზე და სხვა.

მეხუთე - საერთაშორისო ვაჭრობის ყველაზე სრული ფორმაა კაპიტალის დაბანდება სხვა ქვეყნებში ამწყობი ან სამრეწველო წარმოების შესაქმნელად. ეს უზრუნველყოფს იაფი სამუშაო ძალის მოზიდვას ადგილზე, ხოლო ფირმა ინარჩუნებს სრულ კონტროლს საწარმოზე, ასეთ პირობებში საერთაშორისო ბიზნესში (ვაჭრობაში) ერთ-ერთ ძირითად ტენდენციად, კანონზომიერებად გვევლინება ფირმის ძალაუფლების სისტემური ზრდა ვაჭრობის კომპლექსების, საქ-
ონელის მოძრაობის, რეკლამის და გასაღების არხებზე.

დღეს, მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებში საერთაშორისო ვაჭრობის რეგულაციის საკითხების მართვის მრავალ სასიცოცხლო ფუნქციას ასრულებენ საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობით, საერთაშორისო დონეზე მიიღება ის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები, რაც მსოფლიოში სამართლებრივი და ეკონომიკური წესრიგის დამყარებას ისახავს მიზნად.

ამ მიზნით 1995 წელს დაარსდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO), რომელიც მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ საფუძველს წარმოადგენს და ურუგვაის რაუნდის 8-წლიანი (1986-1994) კომპლექსური და ხშირად სადავო მოლაპარაკებების შედეგია.

1999 წლის 6 ოქტომბერს WTO-ს გენერალურმა საბჭომ მოიწონა სამუშაო ჯგუფის მოხსენება და ხელი მოეწერა WTO-ს დაფუძნებულ მარაკეშის შეთანხმებაზე საქართველოს მთავრობის ოქმს. 2000 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა WTO-ში საქართველოს გაწევრიანების ოქმს და 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო გახდა WTO-ს სრულუფლებიანი 137-ე წევრი.

„ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან საქართველოს, როგორც ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრის ურთიერთობათა წარმართვის შესახებ“ საქართველო პრეზიდენტის 2001 წლის 26 მარტის №113 ბრძანებულებით ჩამოყალიბდა WTO-თან თანამშრომლობის სამთავრობო კომისია, საგარეო საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით, რომელიც კოორდინაციას უწევს WTO-თან ურთიერთობებს (ნ. თევდორაძე, ლ. პაპაშვილი 2005).

მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში სრულფასოვნად ინტეგრირება საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადასაჭრელად აუცილებელია საბაზრო პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობების განვითარება და მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ მიმართულებით WTO-ში გაწევრიანება ერთ-

ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა.

1.3. საგარეო ვაჭრობის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და გაუმჯობესების შესაძლებლობები

საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსი. ამ თვალსაზრისით საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ექსპორტის ისეთი ზრდა, რომელიც უზრუნველყოფს მის მიახლოებას მაინც იმპორტთან. საექსპორტო პოტენციალის ეფექტური გამოყენების სტიმულირების აუცილებელი პირობაა, არსებული ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური და გეგმაზომიერი გამოყენება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი სავაჭრო კავშირების დამყარება, ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა. საიმპორტო საქმიანობაში უნდა გამოიკვეთოს პრიორიტეტული მიმართულებები და მათთვის შეიქმნას ხელშემწყობი პირობები.

საგარეო ვაჭრობის განვითარება და საქონელბრუნვის ზრდა, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სავალუტო შემოსავლების შევსება, ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმოების გაფართოებას და შესაბამისად მოსახლეობის დასაქმების ზრდას. მოახდინოს აუცილებელ იმპორტზე შიდა ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირება და ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა, დააჩქაროს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრირების პროცესი.

დღეს საქართველოს გააჩნია უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდო. სავაჭრო ბალანსის ზრდა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების დამახასიათებელი ნიშანია. მაგრამ იმპორტისა და სავაჭრო დეფიციტის ზრდაც ეკონომიკის რეალიზაციის ამ ეტაპზე მოსალოდნელი იყო. ამის საფუძვლად შემდეგი გარემოებები შეიძლება მივიჩნიოთ:

- დონორი ქვეყნების და საერთაშორისო საკრედიტო დაწესებულებების ფინასური დახმარება (გრანტები და შეღავათიანი კრედიტები). მართალია საქართველოსთვის გაწეული დახმარება 1995 წლიდან მცირდება, მაგრამ ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის ფონზე მნიშვნელოვნად გაიზარდა წმინდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა რამაც განაპირობა იმპორტის ზრდის ტენდენციის შენარჩუნება;
- მზარდი ადგილობრივი შემოსავლები და აქედან გამომდინარე, შიდა მოთხოვნილებების სწრაფი ზრდა;
- სამამულო წარმოების ზრდის შედარებით დაბალი ტემპები. ქართული საექსპორტო პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა, რაც მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებით, ერთეულ პროდუქციაზე მუშახელის სიჭარბით და ძირითადი ფონდების მაღალი ღირებულებით არის განპირობებული.

საქართველოს ეკონომიკის მთელი რიგი დარგები, რომელთა მუშაობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საექსპორტო და იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოება, ჯერ კიდევ არასტაბილურად მუშაობს. ბევრ ისეთ სექტორში, სადაც ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი საწარმოო პოტენციალი, პროდუქციის იმპორტი სჭარბობს შიდა პროდუქციას. ეს იმ დროს, როდესაც შიდა ბაზრის გაჯერება ადგილობრივი საქონლით და იმპორტით შემცირება უშუალოდ არის დამოკიდებული იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების მოცულობასა და ხარისხზე.

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის დასახასიათებლად განვიხილოთ საგარეო ვაჭრობის ოპერაციების სტატისტიკა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოს სავაჭრო ბრუნვა 2009-2017 წლებში შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. დიაგრამა 1.1).



	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
3 სალდო	-3 342 094	-3 558 657	-4 885 838	-5 679 744	-5 112 425	-5 740 769	-5 095 608	-5 181 469	-5 254 412
2 იმპორტი	4 475 724	5 235 965	7 072 260	8 056 379	8 022 739	8 601 814	7 300 293	7 294 605	7 982 383
1 ექსპორტი	1 133 630	1 677 307	2 186 421	2 376 635	2 910 314	2 861 045	2 204 685	2 113 136	2 727 971

***ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით**

დიაგრამა 1.1. საქართველოს სავაჭრო ბრუნვა 2009-2017 წლებში (ათას დოლარებში)

როგორც დიაგრამიდან ჩანს წინა წელთან შედარებით 2017 წელს ექსპორტმა შეადგინა 2,728 მილიონი დოლარი, რაც წინა წელთან შედარებით 615 მილიონით მეტია, ხოლო 2013 წელს ექსპორტმა შეადგინა 2.910 მილიონი დოლარი რაც 2017 წლის მაჩვენებელს აღემატება 182 მილიონით. ასევე წლიდან წლამდე იზრდება იმპორტიც, რომელიც 2017 წლის მონაცემებით თითქმის 2,9 ჯერ აღემატება ექსპორტს.

ამრიგად, 2017 წელს საქართველოს ექსპორტი მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ როგორც დავრწმუნდით იმპორტის წილი ექსპორტზე ბევრად მეტია. ამის გამო

სავაჭრო სალდო მუდმივად უარყოფით ნიშნულზეა. ამის მიზეზი საკმაოდ ბევრია, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ის, რომ ქართული პროდუქცია ხშირ შემთხვევაში ევროსტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.

საქართველოს ექსპორტში აუცილებელია მომსახურების წილის გაზრდა. ამის ერთ-ერთ ხელისშემშლელად გვეჩვენება სარკინიგზო გადაზიდვების მაღალი ტარიფები, რაც რიგ შემთხვევაში აიძულებენ გადამხდელებს გვერდი აუარონ TRASECA-ს დერეფანს და გადაზიდვები აწარმოონ ალტერნატიული მიმართულებით.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განხორცილებულმა ღონისძიებებმა, თავის მხრივ, გამოიწვია მოკრძალებული და მაინც დადებითი ტენდენციები:

- საქონელბრუნვის ზრდა;
- საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიის გაფართოება;
- იმპორტის სტრუქტურაში მანქანა - მოწყობილობების და ტექნოლოგიების წილის ზრდა;
- იმპორტის შემცირება იმ სასაქონლო პოზიციებში, რომელთა ადგილობრივი წარმოება ზრდის ტენდენციით და კონკურენტუნარიანი საქონლის გამოშვებით ხასიათდება;
- დსთ ბაზრის პარალელურად სხვა ქვეყნების ბაზრებზე ქართული პროდუქციის ექსპორტის მატება.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკისა, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

საქართველოს, როგორც აგრარულ ქვეყანას დიდი პერსპექტივები გააჩნია ევროკავშირისა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში განახორციელოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი. თანამედროვე ეტაპზე საქართველო ახორციელებს ძირითადად შემდეგი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს: ღვინო, თხილი, კაკალი, ნუში, ხილის ჩირი მოცვი, კივი, ბროწეული, კურკოვანი კულტურები, ვარდის ზეთი, სტაფილოს თესლის ზეთი, ჩაი, მწვანილი, დაფნა, მატყლი, თაფლი. მაგრამ მათი მოცულობების ზრდა ღვინისა და თხილის გარდა მიმდინარეობს დაბალი ტემპებით რასაც მრავალი შემაფერხებელი ფაქტორი გააჩნია.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკისა, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

1.4. საგარეო ვაჭრობის რეგულირებაში სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა

თანამედროვე ეკონომიკა, როგორც საბაზრო კავშირებისა და მათი ურთიერთგანპირობებულობის რთული სისტემა, წარმოუდგენელია სახელმწიფოებრივი რეგულირების გარეშე. მრავალწლიანი მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს მაკროეკონომიკური რეგულირების ობიექტურ აუცილებლობას. დაწყებული დიდი დეპრესიის პერიოდიდან, ეკონომისტები და პოლიტიკოსები

დარწმუნდნენ, რომ საბაზრო ეკონომიკას არ შეუძლია გადაწყვიტოს ქვეყნის ნორმალურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა. მართალია, საბაზრო ეკონომიკა თავისი არსით თვითრეგულირებადი სისტემაა, მაგრამ ,,უხილავი ხელის" მოქმედებას აქვს გარკვეული საზღვრები, რომლის იქითაც იგი უძლურია და არ შესწევს უნარი დაძლიოს ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ არსებული წინააღმდეგობები. ჯ. ჰელბრეითის აზრით "ბაზარს ახასიათებს უამრავი დეფექტი და ნაკლოვანება, რომელიც სახელმწიფოს ჩარევას მოითხოვს" (Дж. Гелбрейт 1079).

ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება გულისხმობს, ცივილიზებული ბაზრის ფორმირების დროს, ეკონომიკის მყარი განვითარების მიზნით დიდი რაოდენობის მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობის გამოყენებას. მყარი ეკონომიკის განვითარება უნდა იყოს მთელი საზოგადოების ინტერესში, ხოლო მისი რეგულირება მოიცავდეს საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა მხარეს. აქ სახელმწიფოს უნდა ეკავოს წამყვანი ადგილი.

დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ ბაზარს არ შეუძლია დაარეგულიროს ნაციონალური და რეგიონალური ეკონომიკური პროგრამების რეალიზაცია, გადაწყვიტოს უმუშევრობის პრობლემები, ვალუტის კონვერტირებადობა და ფულადი მიმოქცევის აწყობა, ფუნდამენტალური კვლევების ჩატარება და სხვა. ნებისმიერი სამეურნეო ობიექტის უფრო ზუსტი პროგნოზირებისათვის აუცილებელია გვქონდეს არა მხოლოდ სამეურნეო სუბიექტების, არამედ მთელი ნაციონალური ეკონომიკის, მისი ცალკეული ქვესისტემის, კომპონენტებისა და ელემენტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამასთან აუცილებელია უწყვეტლივ დაიხვეწოს თვით პროგნოზირების მეთოდოლოგია, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან კავშირში.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის, როგორც ფორმები ასევე მასშტაბები არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ დოგმას და იცვლებიან ქვეყნის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე. ნორმალურ პირობებში ყველა ქვეყანაში ყალიბდება კონკრეტული პირობებისადმი ოპტიმალური სახელმწიფო რეგულირების

ზომა. კრიტიკულ პირობებში გამოიყენება დამატებითი ბერკეტები, არასტანდარტული გადაწყვეტილებები. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო რეგულირების ზომის სწორად და დროულად შერჩევას. ამჟამად საქართველოში საბაზრო სისტემის ფორმირების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმების და მეთოდების შესწავლას, ჩვენი ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით მისადმი მისადაგებასა და პრაქტიკაში დანერგვას.

სახელმწიფოს როლი მრავალ ღონისძიებებში გამოიხატება, მას შეუძლია შექმნას თანაბარი პირობები ყველა ინდივიდისათვის, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწინდარია. სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს საზოგადოებისათვის აუცილებელი და სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმიანობა, რისთვისაც ასრულებს სხვადასხვა ფუნქციებს. აქედან შეიძლება გამოვყოთ:

1. კანონშემოქმედებითი.
2. მეწარმეობრივი.
3. საერთაშორისო.

სახელმწიფოს საკანონმდებლო ფუნქცია გულისმობს ისეთი კანონების შემუშავებას და ამოქმედებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების ნორმალურ არსებობას და განვითარებას.

სამეწარმეო საქმიანობის მასტიმულირებელი კანონმდებლობა არის ნამდვილი რეგულატორი საბაზრო მექანიზმისა, რადგან საკანონმდებლო ბაზა სახელმწიფოს ხელშია, სწორედ მას შეუძლია ,,თამაშის წესების" დადგენა.

სახელმწიფოს სამეწარმეო ფუნქცია მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა ფორმებს, რასაც საფუძვლად უდევს სახელმწიფო საკუთრება. სახელმწიფო საკუთრებაში შესაძლებელია დარჩეს ეკონომიკის საერთო ეროვნული მნიშვნელობის დარგები.

სერიოზულ მხარდაჭერას საჭიროებს სახელმწიფოსაგან უცხოური ინვესტიციები. ამ სახსრების მოზიდვა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით. ეს პროცესი ჩვენი ეკონომიკისათვის ძალზედ მომგებიანია. ჯერ ერთი, კაპიტალის ნაკლებობისა და მოძველებული ტექნოლოგიის პირობებში ეს ინვესტიციები დაეხმარება ქვეყანას სამრეწველო ბაზის მოდერნიზაციაში, გაიზრდება ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი, დაინერგება შრომითი გამოცდილებები. ეს პროცესები მოითხოვს უცხოელ ინვესტორთა მოგების კონცენტრაციას და უცხოური კაპიტალის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. თუმცა სახელმწიფომ არ უნდა მიანიჭოს გადაჭარბებული მნიშვნელობა უხოურ ინვესტიციებს, რადგან მთავარი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა არის ეროვნული ეკონომიკის აღორძინება. ამრიგად, უცხოურ ინვესტიციებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს ადგილობრივი რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

დღეს, საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს აგრარული ურთიერთობები თამაშობს. მაგრამ ბოლო პერიოდში ქვეყნის აგრარული სექტორის მდგომარეობა არასტაბილურია.

ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ჯ.კეინზი აღნიშნავდა, რომ რაც უფრო სუსტია ქვეყნის ეკონომიკა, მით უფრო საჭიროა სახელმწიფო ჩარევა. ამიტომ ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლისათვის და მისი თანამედროვე ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ გადაქცევისათვის აუცილებელია სტრატეგიული ამოცანების დასმა, რომლის გადაწყვეტის ფუნქცია სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. საჭიროა ხელისუფლების მიერ აგროსექტორისადმი მხარდაჭერის პოლიტიკის გააქტიურება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სასურსათო კომპლექსის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობები.

პირველ რიგში ეს ეხება სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალიზაციას, მისი სტრუქტურის თვისობრივად შეცვლას. ეს კი მომავალში ისეთი მიმართულებით უნდა

განვითარდეს, რომ საფუძველი შეუქმნას სასურსათო პროდუქტების ადგილზე წარმოების განვითარებას დაჩქარებული ტემპებით და ძირითადად დააკმაყოფილოს ქვეყნის მოთხოვნილებები სასურსათო პროდუქტზე.

საჭიროა შეიქმნას მტკიცე საკანონმდებლო ბაზა, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, რადგან ეკონომიკური პოლიტიკა სათანადოდ არ ითვალისწინებს ადგილობრივი მწარმოებლების ინტერესებს უცხოური ფირმების საქართველოში შემოსვლის დროს.

თავი 2. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის თანამედროვე მდგომარეობა და მისი შეფასება გლობალიზაციის პირობებში

2.1. საქართველოს ექსპორტ-იმპორტის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და მისი დინამიკა მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში

განვითარებული ქვეყნების მრავალი წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იმ ქვეყნებსაც კი, რომელთაც მდიდარი და ფართოდ დივერსიფიცირებული სასურსათო ბაზა გააჩნიათ, არ შეუძლიათ მსოფლიოს ეკონომიკისაგან დამოუკიდებლად არსებობა, ანუ არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც თავისი ბუნებრივ-კლიმატური, თუ გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლია აწარმოოს ყველა ის საქონელი, რომელზედაც ქვეყნის შიგნით მოთხოვნა არსებობს. ამ შემთხვევაში, პრობლემის გადაწყვეტის მთავარ საშუალებად საერთაშორისო ვაჭრობა გვევლინება. საერთაშორისო ვაჭრობა მისი რაციონალური და ეფექტური გამოყენების პირობებში შეიძლება გახდეს ქვეყნის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია ექსპორტში ნედლეულით ვაჭრობის ხვედრითი წილის შემცირება

და მზა პროდუქციით ვაჭრობის ხვედრითი წილის გაზრდა. ნებისმიერი ქვეყნისათვის უმჯობესია, როგორც ეკონომიკურად, ისე მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით, საზღვარგარეთ გასაყიდად გაიტანოს არა ნედლეული, არამედ მზა პროდუქცია.

დღეს ექსპორტის განვითარების განმსაზღვრელ მიზანს წარმოადგენს მისი სტრუქტურის დახვეწა ასორტიმენტის გაფართოებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გზით, გეოგრაფიული სტრუქტურის დახვეწისა და საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრესული ფორმების განვითარებით.

თანამედროვე პირობებში ამ მიზნების მიღწევა სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია, რომელიც ახდენს კეთილსაიმედო ეკონომიკურ, ორგანიზაციულ, სამართლებრივ და სხვა პირობების ფორმირებას ექსპორტის განვითარებისათვის, ასევე უწევს სხვადასხვა სახის მხარდაჭერას სამამულო საქონლის ექსპორტიორებს.

საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების რეგულირებისათვის სახელმწიფო ახორციელებს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, რომლის ძირითად შემადგენელს წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა (ექსპორტისა და იმპორტის პოლიტიკა).

საგარეო ვაჭრობისა და ექსპორტის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტნიორ ქვეყნებთან ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმის დამყარებას ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე.

საექსპორტო პოლიტიკა უნდა იყოს ხანგრძლივვადიანი და პარტნიორების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული. საგარეო ბაზრებზე უპირატესობა უნდა მიენიჭოს განვითარებულ ქვეყნებს, ვინაიდან ისინი ფლობენ მოცულობით დიდ ბაზრებს შემოსავლებისა და მოთხოვნილებების კრიტერიუმების მიხედვით. ამასთან მიზანშეწონილია ექსპორტის სტრუქტურის განუწყვეტელი განხორციელება და წინსვლა უბრალო პროდუქციიდან უფრო რთული, შრომატევადი და მეცნიერებატევადი პროდუქციისაკენ.

საიმპორტო პოლიტიკა კი უნდა იქნეს ორიენტირებული ისეთ საქონელზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომლის წარმოება ქვეყნის შიგნით შეუძლებელია ან არ არის მიზანშეწონილი.

სავაჭრო დეფიციტის განუხრელი ზრდა ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო მაშტაბური ხდება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სავაჭრო სალდოს გაუარესება თავისი შინაარსით კომპლექსური პროცესია და მის გამომწვევ ფაქტორთა მთელი წყებაა, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ადგილი და ხვედრითი წილი აქვს. თუმცა მაინც შეიძლება გამოიყოს რამდენიმე გარემოება, რომელთა გავლენაც მიმდინარე პროცესზე ყველაზე თვალსაჩინოა (რ. საყვარელიძე 2007).

საზოგადოდ სავაჭრო ტარიფების განულების ტენდენცია ხელს უწყობს იმპორტის ზრდას, მაგრამ იგი ფაქტიურად აზარალებს ადგილობრივ წარმოებას, ვინაიდან ბაზარი ივსება იაფასიანი იმპორტირებული საქონლით. საქართველოში

წელი	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა	ბრუნვა	სალდო

ექსპორტის მოცულობა იმპორტთან შედარებით უმნიშვნელოა, ვინაიდან ადგილობრივი მრეწველობა ვერ ვითარდება სწრაფი ტემპით და ვერ ქმნის ახალ კონკურენტუნარიან ბრენდებს.

საქართველოს სავაჭრო ბალანსზე და ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობაზე 2011-2017 წლებში წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 2.1.

ცხრილი 2.1.

საქართველოს ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა 2011-2017 წლებში (ათას დოლარებში)*

2017	2,727,971	7,982,383	1:2,9	10,710,354	-5,254,412
2016	2,113,136	7,294,605	1:3,4	9,407,741	-5,181,469
2015	2,204,685	7,300,293	1:3,3	11,709,663	-5,095,608
2014	2,861,045	8,601,814	1:3	11,462,859	-5,740,769
2013	2,910,314	8,022,739	1:2,8	10,933,053	-5,112,425
2012	2,376,635	8,056,379	1:3,4	10,433,014	-5,679,744
2011	2,186,421	7,072,260	1:3,2	9,252,681	-4,885,838

***ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით**

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ქვეყანაში იზრდება იმპორტის მოცულობა მუდმივად მერყეობს გარკვეულ ფარგლებში. ქართული ექსპორტი, მოქცეულია იმპორტის ჩრდილში. ქვეყანაში სერიოზულად დგას ექსპორტის იმპორტით გადაფარვის საკითხი. ბოლო სამი წლის განმავლობაში ექსპორტ-იმპორტს შორის თანაფარდობა შეადგენს 1:2,9; 1:3,4; 1:3,3, რაც ქვეყანას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის უმთავრესი რეკომენდაციაა იმ დარგების გამოკვეთა და მხარდაჭერა, სადაც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტი გაიზრდება და იმპორტის ჩანაცვლება მოხდება ადგილობრივი პროდუქციით.

რეკომენდაციის თანახმად აუცილებელია იმ უცხოური კომპანიების მოძიება და მოზიდვა, ვინც დაინტერესებული იქნება საქართველოში პროდუქციის წარმოებით, GSP+ და სხვა სახელმწიფოებთან არსებული შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმებით სარგებლობისა და პროდუქციის საექსპორტო ბაზარზე გატანით (M. Z Khan 2018).

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით 2017 წელს, ექსპორტის მიხედვით, საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ათეულის ჯამურმა ექსპორტმა შეადგინა 1875795.4 ათასი აშშ დოლარი რაც მთლიანი ექსპორტის 68,7%-ია. (იხ. დიაგრამა 2.1)



***ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით**

დიაგრამა 2.1. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ათეული 2017 წელს* (მილ. აშშ დოლარი)

როგორც დიაგრამიდან ჩანს პირველ ადგილი საქათველოს ექსპორტში მყარად უკავია რუსეთს მასზე მოდის საქართველოდან განხორციელებული მთლიანი ექსპორტის 14,5%. მეორეზე აზერბაიჯანია 10%, მესამეზე კი თურქეთი 7,9%. როგორც დიაგრამიდან ნათლად ჩანს პირველ ათეულში ევროკავშირის ქვეყნებიდან მოხვდნენ მხოლოდ ბულგარეთი (6,5%) და რუმინეთი (2,7%), ხოლო ევროკავშირის წამყვან ქვეყნებში ექსპორტის მოცულობები საკმაოდ მოკრძალებულია. რასაც მრავალი, როგორც სუბიექტური ასევე ობიექტური მიზეზი აქვს.

ყოველივე აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს პირობებში საგარეო ვაჭრობას გადამწყვეტი როლი აკისრია მისი ეკონომიკის გაჯანსაღებაში. ამიტომ ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას საგარეო ვაჭრობა და ექსპორტის სტიმულირება უნდა წარმოადგენდეს. რაც უზრუნველყოფს და ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოების შემდგომ გაფართოებას, საბოლოო ჯამში კი ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდას. საჭიროა შემუშავდეს ისეთი სტრატეგიები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საექსპორტო ბაზრების

პირობები. რადგან მნიშვნელოვანია არა მარტო ადრინდელი სავაჭრო კავშირების შენარჩუნება, არამედ ამავე დროს აუცილებელია ახალ ბაზრებზე შეღწევა და საექსპორტო საქონლის დივერსიფიკაცია. ქვეყანაში უნდა შეიქმნას ისეთი სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიის რეორიენტაციას.

საქართველოსათვის, როგორც აგრარული ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო საქონელზე საბაჟო ტარიფების ისეთ რეგულირებას, რომ ადგილობრივი და შემოტანილი პროდუქცია ერთნაირ პირობებში აღმოჩნდნენ, რითაც დაცული იქნება ადგილობრივი მწარმოებლები. მნიშვნელოვან ნაბიჯად შეგვიძლია ჩავთვალოთ მთავრობის წინადადება იაფი კრედიტების გაცემის თაობაზე, ვინაიდან მათი დახმარებით შესაძლებელი იქნება ახალი ტექნოლოგიების, მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების შემოტანა, რაც საშუალებას მისცემს მწარმოებლებს შექმნან ახალი კონკურენტუნარიანი ბრენდები ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით და შემდეგ მოახდინონ მათი ექსპორტი. რაც უფრო მეტად იქნება გაცემული ასეთი იაფი კრედიტები და დაბალი მათი საპროცენტო განაკვეთი, მით მეტ მოგებას მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოების გაზრდილი მოცულობიდან.

აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის ისეთი მიმართულებით დახვეწა, რაც ხელს შეუწყობს და სტიმულს მისცემს ადგილობრივ მეწარმეებს განუწყვეტლივ დახვეწონ თავიანთი პროდუქცია. სახელმწიფოს მხრიდან ასეთი დახმარების მაგალითია სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ (რაც ხელმოწერილია ბევრ ქვეყანასთან).

საჭიროა ძალისხმევის გაზრდა უცხოელი მწარმოებლების მოზიდვის მხრივ, რათა მათ ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით ადგილზე აწარმოონ პროდუქცია და შემდეგ განახორციელონ წარმოებული პროდუქციის ექსპორტი. მათი

დაინტერესება შესაძლებელია ლიბერალური საგადასახადო სისტემითა და იაფი სამუშაო ძალით.

2.2. საქართველოს ექსპორტის განვითარებაში არსებული პრობლემები და მათი დაძლევის გზები

საქართველო წარმოადგენს ქვეყანას მცირე ეკონომიკით და ორიენტირებულს ექსპორტზე. საქართველოს ექსპორტის მოცულობების გაზრდისა და სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის საჭიროა განვითარდეს საქონლის წარმოება მაღალი დამატებითი ღირებულებით და ამ მიზნის მიღწევაში საკვანძო დარგს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა. მაგრამ, დღესდღეობით, სოფლის მეურნეობის სფეროში საექსპორტო პოტენციალის გაზრდას აქვს რიგი პრობლემები.

ბოლო ორი წელია საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა მცირდება. განსაკუთრებით ეს ეხება ექსპორტს. თუ კარგად დავაკვირდებით, ეს შემცირება მიმდინარეობს ექსპორტში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებების ფონზე და არა მხოლოდ რაოდენობრივი შემცირება და მისი გამომწვევი მიზეზები არის საინტერესო.

მართალია, ბოლო წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებასა და დივერსიფიკაციაში, რაზეც საქართველოს საგარეო ვაჭრობის მიმოხილვაც მოწმობს, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა საექსპორტო პორტფელის მკვეთრი გაფართოება, რათა, როგორც მინიმუმ, გაგრძელდეს ეკონომიკური ზრდა და შემცირდეს ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო სალდო. ამისათვის კი აუცილებელია გავიაზროთ ის პრობლემები, რაც ქვეყნის ექსპორტის ზრდას უშლის ხელს. ჩამოვთვალოთ ის შემაფერხებელი ფაქტორები,

რასაც მსხვილი ექსპორტიორები ყველაზე ხშირად ასახელებენ, ესენია (ქ. მელქაძე2016):

1. პროდუქციის დაბალი ხარისხი და არაერთგვაროვნება;
2. მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, ლოგისტიკა, სამაცივრე მეურნეობები და ტრანსპორტირება;
3. საბრუნავი საშუალებების სიმცირე და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა;
4. მიწის ფრაგმენტაცია;
5. განათლებაზე შეზღუდული წვდომა;
6. ევროპის ბაზრების შესახებ მწირი ინფორმაცია;
7. ქართული პროდუქტების დაბალი ცნობადობა ევროპის ბაზარზე.

საქართველოს, როგორც აგრარულ ქვეყანას დიდი პერსპექტივები გააჩნია ევროკავშირისა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში განახორციელოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი. თანამედროვე ეტაპზე საქართველო ახორციელებს ძირითადად შემდეგი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს: ღვინო, თხილი, კაკალი, ნუში, ხილის ჩირი მოცვი, კივი, ბროწეული, კურკოვანი კულტურები, ვარდის ზეთი, სტაფილოს თესლის ზეთი, ჩაი, მწვანილი, დაფნა, მატყლი, თაფლი. მაგრამ მათი მოცულობების ზრდა ღვინისა და თხილის გარდა მიმდინარეობს დაბალი ტემპებით რასაც მრავალი შემაფერხებელი ფაქტორი გააჩნია.

აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის შემაფერხებელ ფაქტორებს შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი ფაქტორები(ნ. სამჭკუაშვილი, თ. დუდაური 2018):

1. დაბალი პროდუქციის ხარისხი - ქართული პროდუქცია ხშირ შემთხვევაში ევროსტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. მეწარმეებს არა აქვთ პროდუქციის ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი.
2. შეფუთვა/დახარისხება-პროდუქტის ევროპაში გასატანად მეწარმეები თავად ახარისხებენ, აფასოებენ და აწყობენ ყუთებში. არ არის საწარმოები, სადაც

პროდუქტი შეიფუთება და ევროპაში გასატანად სასურველ სარეალიზაციო სახეს მიიღებს.

3. ლოგისტიკა - სერიოზული პრობლემები ექმნებათ მცირე და საშუალო მეწარმეებს, რომლებსაც ევროპაში გადაუმუშავებელი ხილი და ბოსტნეული გააქვთ და ჯერჯერობით, ვერც უცხოელი პარტნიორები მოიძიეს, ვინც იქ სასაწყობო მეურნეობის შექმნასა და მართვაში დაეხმარება.
4. მცირე წარმოების გამო ფერმერები საკუთარი პროდუქტით კონტეინერებს ვერ ავსებენ და სხვა კლიენტის ლოდინი დიდხანს უწევთ. საჰაერო ტრანსპორტის გამოყენება ფასს ძალიან აძვირებს, არასტაბილური მიმოსვლა შედარებით იაფ ბორანსაც გამოუყენებელს ხდის.
5. თანამედროვე ტექნოლოგიების არქონა და ცოდნის ნაკლებობა.
6. საექსპორტო ბაზრების შესახებ ინფორმაციის არქონა.
7. მარკეტინგი - ქვეყნისა და აგროპროდუქციის ცნობადობა ჯერ კიდევ არ არის დიდი, ევროპაში ჯერ კიდევ არის ადგილები, სადაც არ იციან ქართული პროდუქტი, ამიტომ მარკეტინგული თვალსაზრისით მუდმივი მუშაობაა საჭირო.
8. ბევრ ფერმერს არ აქვს თანამედროვე უნარ-ჩვევები, რის შედეგიცაა დაბალი მწარმოებლურობა და დანაკარგი მოსავლის აღების დროს.

ექსპორტის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორებიდან გამომდინარე, ქართული პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტის საკითხი კომპლექსურ მუშაობას და დიდ ძალისხმევას მოითხოვს სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო სექტორის მხრიდან. აქვე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართველობების როლი ექსპორტის ხელშეწყობასა და სტიმულირებაში.

ექსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე, არსებულ ტრადიციებზე, ამა თუ იმ დარგის განვითარების

პრიორიტეტებზე. მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში საქონელგამტარი ქსელების შექმნის ინიციატორად გვევლინებიან თვით მეწარმეები. ამავდროულად ამ ქვეყნებში სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს ექსპორტიორების მხარდაჭერის ეროვნული საექსპორტო სტრატეგია. მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს, როგორც სპეციალიზებული სავაჭრო კომპანიები შეზღუდული ფუნქციებით, ასევე ისეთები, რომლებიც ერთდროულად ასრულებენ მრავალ ფუნქციას. მაღალტექნოლოგიური და უნიკალური პროდუქციის ექსპორტზე, როგორც წესი, სპეციალდებიან მცირე და საშუალო კომპანიები, ხოლო ნედლეულისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე კი - მსხვილი კომპანიები (ნ. სამჭკუაშვილი, თ. დუდაური 2018).

საექსპორტო აგროპროდუქციის წარმოების გაზრდისათვის აუცილებელია რეგიონებში თვითმმართველობებთან შეიქმნას ეკონომიკური სააგენტოები, რომლებიც მოახდენენ ინფორმაციის შეგროვებასა და ექსპორტის ხელშემწყობი პროექტების დაგეგმვას.

2.3. კვლევა საქართველოს ექსპორტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები

კვლევის დროს გამოყენებული იყო, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდები. ძირითადი ინსტრუმენტი იყო ინტერნეტის, კერძოდ კი google drive-ის საშველებით, რესპოდენტთა გამოკითხვა. შემუშავებული გვქონდა ხუთი კითხვა, კვლევის მონაწილეები შერჩეული გვყავდა: ასაკის, სქესის, განათლების და საქმიანობის მიხედვით. კვლევაში მონაწილეობას იღებდა 48 ადამიანი. კვლევის მიზანი იყო გაგვეგო მოსახლეობის აზრი იმ საკითხებთან დაკავშირებით რა უფრო მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ექსპორტის ამაღლებისთვის.

კითხვაზე: რა არის საჭირო იმისთვის, რომ საქართველოში იმპორტირებულ საქონელს ჭარბობდეს ექსპორტის რაოდენობა?



დიაგრამა 2.2. რა არის საჭირო იმისთვის, რომ საქართველოში იმპორტირებულ საქონელს ჭარბობდეს ექსპორტის რაოდენობა?

გამოკითხული რესპოდენტებიდან 19-მა ადამიანმა ჩათვალა საჭიროდ, რომ ექსპორტისთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის ხელშეწყობა მცირე მეწარმეებს. 6-მა განათლების დონის ამაღლება ჩათვალა სწორედ. გადასახადების შემცირება მეწარმეებისთვის ეს საკითხი არც ერთმა რესპოდენტმა არ ჩათვალა საჭიროდ. ბანკების ხელშეწყობა მეწარმეებს, დაბალ პროცენტიანი სესხების გაცემა, 22-მა ადამიანმა ჩათვალა საჭიროდ, რომ ეს საკითხი მნიშვნელოვანია ექსპორტის განვითარებისთვის. ხოლო ერთმა რესპოდენტმა ექსპორტის განვითარებისთვის საჭიროდ ჩათვალა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი საწარმოების მოდერნიზაცია და შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადება, იმპორტირებული პროდუქციის შეზღუდვა, რომლის წარმოებაც ჩვენ უკეთ შეგვიძლია იმ თავისებურებებიდან გამ-ომდინარე, რომელითაც ხასიათდება საქართველო.

კითხვაზე: ექსპორტის ხელშეწყობისთვის რომელი უფრო მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ?



დიაგრამა 2.3. ექსპორტის ხელშეწყობისთვის რომელი უფრო მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ?

გამოკითხული რესპოდენტებიდან 6-მა რესპოდენტმა საჭიროდ მიიჩნია საერთაშორისო გამოფენების მოწყობა, 21-მა რესპოდენტმა შიდა და გარე მისიების ორგანიზება, 3-მა სავაჭრო პოლიტიკური და საექსპორტო პროდუქციის ონლაინ კატალოგი მიიჩნია საჭიროდ, ხოლო 18-მა რესპოდენტმა ქართული პროდუქციის კონკურსებზე გაგზავნის ორგანიზება ჩათვალა საჭიროდ.

კითხვაზე: საქართველოს ბაზარზე არსებული მდგომარეობით რომელ პროდუქტს ანიჭებთ უპირატესობას? ამ კითხვასთან დაკავშირებით ყველა რესპოდენტმა ერთპიროვნულად აირჩია საქართველოში და კერძოდ, ქართული კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქტი.

კითხვაზე: თქვენი აზრით საქართველომ როგორ უნდა გაუწიოს კონკურენცია საერთაშორისო ბაზარზე სხვა ქვეყნებს?



დიაგრამა 2.4. თქვენი აზრით საქართველომ როგორ უნდა გაუწიოს კონკურენცია საერთაშორისო ბაზარზე სხვა ქვეყნებს?

გამოკითხული რესპოდენტებიდან 24-მა რესპოდენტმა მნიშვნელოვნად მიიჩნია მაღალი ხარისხი. 15-მა ხარისხის შესაბამისი ფასი. სამმა პროდუქციის განმასხვავებელი ნიშანთვისებები და ასევე სამმა რესპოდენტმა ყველა ეს ფაქტორი ჩათვალა მნიშვნელოვნად, ხოლო სამმა რესპოდენტმა ვერ გასცა პასუხი.

კითხვაზე: როგორ უნდა განავითაროს ქვეყანამ მცირე მეწარმეობა?

გამოკითხული რესპოდენტებიდან 24-მა რესპოდენტმა ყველაზე მნიშვნელოვნად ჩათვალა, რომ ქვეყანამ მისცეს საშუალება მეწარმეებს აიღონ გრძელვადიანი სესხები დაბალ პროცენტში. 18-მა შეიქმნას ქვეყანაში შესაბამისი გარემო მეწარმეებისთვის, ხოლო 6-მა გაუმჯობესდეს მოსახლეობის განათლების დონე და მიეცეთ სტიმული.



დიაგრამა 2.5. როგორ უნდა განავითაროს ქვეყანამ მცირე მეწარმეობა?

კითხვაზე: როგორ ფიქრობთ რისი პოტენციალი აქვს საქართველოს ექსპორტის მხრივ საერთაშორისო ბაზარზე?



დიაგრამა 2.6. როგორ ფიქრობთ რისი პოტენციალი აქვს საქართველოს ექსპორტის მხრივ საერთაშორისო ბაზარზე

გამოკითხული რესპოდენტებიდან 30-მა რესპოდენტმა აირჩია სოფლის მეურნეობა, 15-მა ბუნებრივი რესურსები, ხოლო 3-ს პასუხი არ ჰქონდა.

კვლევაში ძირითადად მონაწილეობა მიიღეს 18-დან 30 წლამდე რესპოდენტებმა. რესპოდენტების 62.5% იყო მამრობითი სქესის ხოლო 37.5% მდედრობითი. რესპოდენტების უმრავლესობამ, ასევე კვლევაში განათლება დააფიქსირა რომ არის უმაღლესი განათლების მქონე. რაც შეეხება საქმიანობას კვლევის 62.5% არის დასაქმებული, 12.5% სტუდენტი, ასევე 12.5% უმუშევარი ხოლო დანარჩენმა დააფიქსირა, რომ არის პენსიონერი.

ჩემი აზრით, კვლევა ზუსტად ასახავდა იმ გარემოს რაც არის ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი. ქვეყანამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ რაც შეიძლება ყველასთვის სასურველი იყოს და ყველას უნდოდეს ბიზნესის წამოწყება, არა იმიტომ, რომ ეს არის ადვილი, არამედ იმიტომ, რომ მათ ჰქონდეთ შესაბამისი გარემო ბიზნესის წარმოებისთვის. მათ უნდოდეთ და უყვარდეთ თავიანთი ბიზნესი, რაც ალბად უშრომელად ვერ მიიღწევა.

ამრიგად, ჩვენი გამოკითხვის საფუძველზე გავაკეთეთ დასკვნა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა აზრით საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია:

1. მეწარმეებისათვის დაბალპროცენტიანი სესხის გაცემა;
2. სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა მცირე მეწარმეებისათვის;
3. ქართული პროდუქციის კონკურსებზე გაგზავნის ორგანიზება;
4. გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხი და ფასთან შესაბამისობა;
5. ქვეყანაში ხელსაყრელი გარემოს შექმნა მეწარმეობისათვის;
6. ყველაზე მაღალი საექსპორტო პოტენციალი აქვს: სოფლის მეურნეობასა და ბუნებრივ რესურსებს.

თავი 3. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები გლობალიზაციის პირობებში

3.1. ქვეყნის ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარების ძირითადი პრიორიტეტები

თანამედროვე ეტაპზე ექსპორტ-იმპორტის განვითარების პრობლემების დამუშავებამ და მათმა სწორად წარმართვამ ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. სწორად წარმართვაში იგულისხმება ექსპორტისა და იმპორტის დასაბუთებული ურთიერთშეფარდება, ისეთი იმპორტული პროდუქციის შემოტანას ქვეყანაში, რომელიც დასაბამს მისცემდა საექსპორტო პროდუქციის გაზრდას, იმავდროულად იმპორტის თანდათანობით შემცირებას და მოსახლეობის ძირითადად საკუთარი წარმოების საქონლით დაკმაყოფილებას.

მსოფლიო ექსპორტის ერთ-ერთი უმსხვილესი ჯგუფია სასურსათო საქონელი, რომელშიც შედის: მარცვლეული და მისი გადამუშავების პროდუქტები. ზოგიერთი კულტურების თესლი, ზეთი, ცხიმები, ხილი, ბოსტნეული, ყავა, კაკაო, ჩაი, თევზი და ზღვის პროდუქტები, რძის პროდუქტები და შაქარი. სასურსათო საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ამ რესურსების ზრდა სოფლის მეურნეობის განვითარებაზეა დამოკიდებული. ამჟამად იგი ღრმა სტრუქტურულ გარდაქმნას განიცდის. სასოფლო-სამეურნეო წარმოება გადავიდა განვითარების მანქანურ სტადიაზე, ფართოდ ინერგება ინტენსიური ტექნოლოგიები.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ტენდენციაა ამ საქონლის მსოფლიო ექსპორტში მოხმარებისათვის მზა და ნახევრად მზა პროდუქტების ხვედრითი წილის ამაღლება, სურსათის ექსპორტის ძირითადად

განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე წამყვანი ადგილი პოსტსოციალისტურ და განვითარებად ქვეყნებს უკავიათ. მაგალითად, განვითარებად ქვეყნებზე მოდის ტროპიკული პროდუქტების მსოფლიო ექსპორტის დაახლოებით 90%, შაქრის- 50%-ზე მეტი, ზეთოვნების, ხილისა და ბოსტნეულის 30-35% (ბ. ნოზაძე2016).

სურსათის უმსხვილეს ექსპორტიორთა რიცხვში შედის აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, კანადა და ავსტრალია, ჩინეთი, ხოლო იმპორტიორებში - იაპონია, აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, რუსეთი. სურსათის ყველა წამყვანი იმპორტიორი (იაპონიისა და რუსეთის გარდა) ერთდროულად ამ პროდუქტების მსხვილ ექსპორტიორთა როლში გამოდიან.

სასურსათო საქონლის მსოფლიო ბაზრის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებასთან. მრავალ ქვეყანაში შეიმჩნევა წყლის უკმარისობა, ნიადაგის ეროზიის საყოველთაო გავრცელება და მისი საფარის გამოფიტვა, რომლის აღდგენა სასუქების გამოყენებას მოითხოვს და ა.შ. გარდა ამისა, მიწის გარკვეული ნაწილი გამოიყენება სამრეწველო და სასაქონლო მშენებლობისათვის, რის შედეგადაც მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესები და საძოვრები. ეს, თავის მხრივ, სასურსათო ვაჭრობაზე ახდენს გავლენას.

საექსპორტო პოტენციალის ანალიზისას მნიშვნელოვანია განვიხილით საქართველოს ექსპორტი სტრუქტურულ ჭრილში. 2017 წლის მონაცემებით საექსპორტო ათეულში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები - 419,8 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 15,4%), 2016 წელს ეს მაჩვენებელი ტოლი იყო 312,3 მლნ. აშშ დოლარის (14,7%). 2017 წელს მეორე ადგილზე ფეროშენადნობები - 306,9 მლნ. აშშ დოლარი (11,3%), იმ დროს როდესაც 2016 წელს მას ეკავა მესამე პოზიცია 169,3 მლნ. აშშ დოლარით (8%), ხოლო მეორე პოზიციაზე 2016 წელს იყო თხილი - 179,2 მლნ. აშშ დოლარით (8,4%), 2017 წელს კი თხილი გადავიდა მეცხრე პოზიციაზე - 82,5 მლნ. აშშ დოლარით (3%), რაც გამოწვეული იყო დასავლეთ

საქართველოში თხილის ნარგავებში სოკოვანი დაავადებების და აზიური ფაროსანას გავრცელებით. ძირითადი საექსპორტო პროდუქცია 2016 და 2017 წლებში მოცემულია დიაგრამებზე. (იხ დიაგრამა 3.1 და 3.2).



*ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 3.1. საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქცია 2016 წელს (%-ში)



*ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 3.2. საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქცია 2017 წელს (%-ში)

მთავრობა აგრძელებს აქტიურ აგროპოლიტიკას, რომლის მიზანია მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით აგროსასურსათო სექტორში საექსპორტო პოტენციალის ამაღლება, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდა, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სურსათის უვნებლობა და სოფლის განვითარება.

სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა არის საქართველოს მთავრობის აგროპოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა კოოპერატივების შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელებას.

მეწარმეობის განვითარება „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში:

- საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების, გადაიარაღების ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით;
- მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა რეგიონებში;
- საქართველოში კინოწარმოების განვითარება ექსპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის ფარგლებში:
- საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია ქვეყნის გარეთ სხვადასხვა საერთაშორისო ბაზრებზე;
- საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება;

- ბაზრის კვლევებისა და კონსულტაციების მეშვეობით ადგილობრივ ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების უნარების ამაღლება, ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ევროპის მეწარმეთა ქსელში ჩართვა;
- DCFTA-ს მოთხოვნებთან დაკავშირებით მეწარმეების ცნობიერების ამაღლება და მათი იმპლემენტაციისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა.
- სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა ქვეყნის აგრარულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება; აგრარული სექტორის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება;
- ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა აგრარული დარგის განვითარების 2017 წლის პრიორიტეტები წარადგინა. ღვინის ეროვნული სააგენტოს ღვინის მუზეუმში მედიის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე ლევან დავითაშვილმა აგრარული დარგის განვითარების 2017 წლის პრიორიტეტებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა[ბიზნეს პრეს ნიუსი (bpn) 2016] . როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებისთვის სამინისტრო ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას და თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლებას.

- პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება-ეფექტიანობის გაზრდა;
- მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების განვითარება, შემნახველი და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის გაფართოება-მოდერნიზაცია;
- წარმოებაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა;

- ფერმერთა ცოდნისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია;

სოფლის მეურნეობის სამინისტრო რესურსების გაერთიანებაში უნდა დაეხმაროს საექსპორტო და ადგილობრივ ბაზრებზე მოთხოვნად ისეთი პროდუქტების მწარმოებლებს (მათ შორის თაფლის), რომლებიც ცალკე ძალებით ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნას, ხოლო გაერთიანების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება შედეგების მიღწევა. ასევე დაიგეგმოს ალპური მესაქონლეობის განვითარების მიზნობრივი პროგრამები. უნდა განხორციელდეს სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობის მასშტაბური პროექტები. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხელს უწყობს ფერმერთა აგრობაზრების და ბაზრობების, ფესტივალების (ღვინისა და ყველის) ორგანიზებას.

საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო ორგანიზებას უწევს დეგუსტაციებს, კონკურსებს, ღვინის საერთაშორისო კონფერენციებს, გამოფენების და მედია-ტურების ჩატარებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

იმისათვის, რომ საქართველოში აგრარული პროდუქციის ექსპორტი გაიზარდოს, აუცილებელია ჩატარდეს მარკეტინგული კვლევები. რის საფუძველსაც წარმოადგენს გლობალური გარემოს შესწავლა.

იმ კომპანიებსაც კი, რომლებიც არ აწარმოებენ თავიანთი პროდუქციის მარკეტინგს საერთაშორისო ბაზარზე, მაინც ესაჭიროებათ საერთაშორისო ეკონომიკური გარემოს შეფასება. კომპანია, ძირითადად, რესურსების გადამამუშავებელი მექანიზმია, რომელიც იღებს მასალებს, მუშახელს, მანქანა-დანადგარებსა და ფონდებს. საჭირო რესურსების მოპოვება ხშირად საზღვარგარეთის წყაროებიდან ხდება, თუნდაც არაპირდაპირი გზით. ის, თუ

რამდენად კარგად ახერხებს კომპანია შესყიდვას, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად ფლობს იგი საერთაშორისო ხელსაყრელ სიტუაციასა და ვალუტის გაცვლის ბაზარს. საერთაშორისო გარემოს შეფასებისათვის საერთაშორისო კომპანიების მიერ ისევე, როგორც სხვა კომპანიების მიერ, მნიშვნელოვანია მისი ხასიათის წინასწარ განჭვრეტა და სხვადასხვა ფაქტორის ცვლილების სიჩქარის გაანგარიშება: გეოგრაფიული რეგიონები, ქვეყნები და ა.შ.

ყოველივე აღნიშნული წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდას უზრუნველყოფს, რაც თავის მხრივ გაზრდის საქართველოს საექსპორტო პოტენციალს.

3.2. ქვეყნის ექსპორტზე ორიენტირებული ძირითადი დარგები და აგროპროდუქტები

ზემოთ ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარე საქართველოს, როგორც აგრარული ქვეყნის, პრიორიტეტად უნდა იქცეს ისეთი აგრარული პროდუქტის წარმოება, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება მსოფლიო ბაზარზე. ამ მიზნით მნიშვნელოვანია ისეთი შეღავათიანი სატარიფო და საგადასახადო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება და გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს და წაახალისებს აგრარულ სექტორში საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაზრდას.

ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა არის უცხოური ინვესტიციების შემოდინების მნიშვნელოვანი წინაპირობა. აუცილებელია საერთაშორისო დონეზე და ქვეყნის შიგნით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნებში არსებული საინვესტიციო შესაძლებლობების დემონსტრირებას და ხელს შეუწყობენ ინვესტიციების შემოდინებას ქვეყნის აგრარულ სფეროში, რაც ასევე თავის მხრივ აამაღლებს მოსახლეობის დასაქმებასა და ცხოვრების დონეს.

აუცილებელია ქვეყანაში შემუშავებული იქნეს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების კომპლექსური პროგრამა აგრარული სფეროში, რომლის ცხოვრებაში გატარებაც უზრუნველყოფს სასურსათო უსაფრთხოების, მოსახლეობის მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებასა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის პოზიციების გამტკიცებას. ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის საჭიროა იმ სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების რეაბილიტაცია და საერთაშორისო სტანდარტებით აღჭურვა, რომელის განვითარებისათვის არსებობს სათანადო სანედლეულო ბაზა და ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები.

სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ სფეროების მხარდაჭერაზე, რომლებშიც საქართველოს საერთაშორისო მასშტაბით აქვს კონკურენტული უპირატესობა. მაგალითად, ხილის, თხილის და ყურძნის წარმოების გაზრდა იმ დონემდე, რაც შესაძლებელს გახდის ამ კატეგორიის პროდუქციის ან მისი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის ექსპორტს. ციტრუსები საქართველოში მრავალი წელია საექსპორტო შემოსავლების ერთ-ერთ ძირითად წყაროა. უახლესი ტექნოლოგიების დანერგვისა და ბაღების მოვლის სტანდარტების დაცვის შემთხვევაში ეს სფერო შეიძლება მნიშვნელოვნად განვითარდეს.

ყურძნის მოყვანა საქართველოში ერთ-ერთი ტრადიციული და ამავდროულად, პერსპექტიული სფეროა. ამ სფეროს განვითარებისთვის ჩვენი აზრით, გარდა ექსპორტზე ორიენტირებისა, მნიშვნელოვანია ადგილობრივ მოთხოვნაზე აქცენტის გაკეთებაც და ღვინის კომერციული მიზნით წარმოება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2017 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 844.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 2.0 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 646.5 მლნ. აშშ დოლარი იყო (13.0 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 2 197.5 მლნ. აშშ დოლარი (0.8 პროცენტით ნაკლები). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 26.6 პროცენტი შეადგინა, მათ შორის

ექსპორტში 23.7 პროცენტი და იმპორტში 27.5 პროცენტი (2016 წელს შესაბამისად 29.6, 27.1 და 30.4 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 29.5 პროცენტი (2016 წელს 31.7 პროცენტი). ევროპის ბაზრებზე ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებიდან ყველაზე დიდი ოდენობით ღვინო და თხილი იყიდება 2017 წელს ამ ქვეყნებში ექსპორტირებულ იქნა 1709,8 მლნ. აშშ დოლარის ყურძნის ნატურალური ღვინოები რაც წინა წელთან შედარებით 574.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი იყო (113 533.7 მლნ. აშშ დოლარი), შემდეგ მოდის თხილის ექსპორტი მაგრამ წინა წელთან შედარებით, მისი ექსპორტი საგრძნობლად თითქმის 54%-ით შემცირდა, რაც გამოწვეული იყო დასავლეთ საქართველოში ფაროსანას ფართო გავრცელებით, რამაც შეამცირა ქვეყანაში თხილის წარმოების მოცულობა. თუმცა 2014 წელს ასოცირების შეთანხმების სავაჭრო კომპონენტის (DCFTA) ამოქმედების შემდეგ ევროკავშირის ბაზრის მიმართ ქართველი მეწარმეების ინტერესი სულ უფრო მეტად იზრდება.

ქართული აგროპროდუქციის ევროკავშირში ექსპორტს ძირითადად აფერხებს: პროდუქტის დაბალი ხარისხი, ლოგისტიკური საკითხები, მეწარმეებში ევროპის ბაზრების შესახებ მწირი ინფორმაცია და ქართული პროდუქციის დაბალი ცნობადობა ევროპელ მომხმარებლებში. eugeorgia.info-მ, როგორც დამოუკიდებელი, ასევე ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული განვითარებადი ქვეყნებიდან ექსპორტის ხელშეწყობის ცენტრის კვლევებზე დაყრდნობით ევროკავშირში ქართული პროდუქციისთვის ნიშურ ბაზრებზე რამდენიმე სტატია მოამზადა. ქართული ცხვრის საექსპორტო არეალი დიდია: ირანი, აზერბაიჯანი, ომანი, იორდანია, ლიბანი, ეგვიპტე, ყატარი, არაბეთის გაერთიანებული საამიროები. ეს ის შემთხვევაა, როცა ბაზარმა პროდუქტი თვითონ მოძებნა და ქართულმა ცხვარმაც არაბული ქვეყნების ბაზარზე ავსტრალიური, უკრაინული და ბრაზილიური ცხვრის ექსპორტი წარმატებით ჩაანაცვლა. ,,აგრო-განვითარების ჯგუფის'' ხელმძღვანელობის აზრით, არაბი ბიზნესმენების მზარდ ინტერესს ქართული ცხვრის

იმ საგემოვნო თვისებებით ხსნის, რომელიც ქართული ცხვრის ხორცს გააჩნია. გარდა ამისა, ქართულ ცხვარს ახასიათებს მაღალი შემგუებლობის უნარი და სტრესებისადმი მდგრადია. ქართული ცხვრის მთავარი უპირატესობას კი ალბათ მისი სიიაფე და საქართველოდან არაბულ ქვეყნებში ტრანსპორტირების დაბალი ღირებულებაა. არაბი ბიზნესმენები აქ ცხვარს დაახლოებით იაფად ყიდულობენ, საკუთარ ქვეყნებში კი ბევრად ძვირად ყიდიან. აქვე მნიშვნელოვანია ისიც, რომ არაბი ბიზნესმენები მხოლოდ მსხვილი გარიგებებით ინტერესდებიან და ძირითადად მამალ ცხვრებსა და თოხლებს ყიდულობენ (მ. ლომთაძე, თ. ბიძინაშვილი 2017).

ექსპერტთა აზრით, ნედლეულის გადამამუშავებელი წარმოების გან-ვითარების შემთხვევაში ცხვარი, შესაძლოა უფრო ფასეულ პროდუქტადაც იქცეს და ფერმერმაც, სახელმწიფო ბიუჯეტმაც და ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებში დასაქმებულმა ადამიანებმაც უფრო მეტი მოიგონ. ,,გადამამუშავებელი წარმოების განვითარებას სერიოზული სარგებლობის მოტანა შეუძლია. თუშური ცხვრის მატყლზე, როგორც სახალიჩე დანიშნულების ნედლეულზე, ყოველთვის დიდი მოთხოვნა იყო. 1 ცხვარზე საშუალო წლიური ნაპარსი 2,3-2,5 კგ-ია. ე.ი. ამჟამად საქართველოში შეიძლება 1-1,2 ათასი ტონა მატყლი გადამუშავდეს. გარდა ამისა, ცხვარს წველიან და მისგან დამზადებული ყველი საუკეთესო გემოთი გამოირჩევა. რაც მთავარია, რაც უფრო ინტენსიურად მუშაობს გადამამუშავებელი წარმოება, მით უფრო ექცევა ყურადღება ცხვრის ჯიშობრივი და ხარისხობრივი თვისებების გაუმჯობესებას ვითარდება სელექციური მუშაობა და ზოგადად დარგიც ვითარდება (მ. ლომთაძე, თ. ბიძინაშვილი 2017).

მეცხვარეთა ასოციაცია ყურადღებას კიდევ ერთ ფაქტორზე ამახვილებს: „არაბულ ქვეყნებში ცხვარი ძირითადად რელიგიურ დღესასწაულებზე იკვლება. რიტუალის თანახმად, ცხვარი ადგილზე უნდა დაიკლას. ამიტომ, არაბებს ურჩევიათ საქართველოდან ცოცხალი ცხვარი გაიყვანონ და იქ დაკლან. მით უმეტეს, რომ ფოთის პორტიდან ტრანსპორტირება არც ისე ძვირია“. მეცხვარეთა ასოციაცია

ვარაუდობს, რომ მიმდინარე წელს საქართველოდან საექსპორტოდ დაახლოებით 300 ათას ცხვარს გაიყვანენ. ექსპერტების აზრით, ქართული ცხვრის ღირებულებას საძოვრებზე არსებული მაღალი გადასახადები და საკვების სიძვირე ზრდის. ქართული ცხვრის გაძვირებას მისი რეალიზაციის პრობლემა მოჰყვა. ამჟამად ქართული ცხვარი ექსპორტზე მხოლოდ აზერბაიჯანსა და ირანში გადის. ქართული ცხვრის სტაბილური საექსპორტო ბაზრის სტატუსს აზერბაიჯანი ჯერჯერობით ისევ ინარჩუნებს.

მეცხვარეთა ასოციაცია დარგის განვითარების ერთ-ერთ შესაძლო შემაფერხებელ გარემოებად ასახელებს იმას, რომ „სომხური ცხვარი ექსპორტზე საქართველოდან გადის და რაც მთავარია, გადის როგორც ქართული ცხვარი. რამდენიმე არაბული ქვეყანა, მათი ჯანმრთელობის (ეპიზოოტური) პრობლემების გამო, ქვეყნის შიგნით სომხური ცხვრის შეყვანას საერთოდ კრძალავს. ამიტომ სომხური ცხვარი არაბულ ქვეყნებში გადის როგორც ქართული ცხვარი, რაც შესაძლოა, ქართული მეცხვარეობის გან-ვითარებისთვის ახალი დამაბრკოლებელი ფაქტორი გახდეს: თუ რომელიმე არაბულ ქვეყანაში დაავადებული „ქართული“ ცხვარი მოხვდება, 5 წლის განმავლობაში, საქართველოდან ცხვრის ექსპორტი აიკრძალება“. მეცხვარეთა ასოციაციის ინფორმაციით, ხშირია საქართველოს გავლით სომხური ცხვრის არა მხოლოდ არაბულ ქვეყნებში, არამედ აზერბაიჯანში გაყვანის მცდელობაც. აზერბაიჯანის ბაზრის დაკარგვა კი საქართველოს შესაძლოა მეცხვარეობის განადგურებად დაუჯდეს.

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქტების წარმოებას, ქვეყანას ამ მხრივ დიდი პოტენციალი გააჩნია. ქვემოთ მოყვანილია ის ძირითადი პროდუქტები, რომლებიც ამჟამად იწარმოება საქართველოში და წარმატებით გადის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში (მ. გაბულდანი 2016).

ხილის ჩირი. ევროკავშირი მსოფლიოში ხილის ჩირის ერთ-ერთი უმსხვილესი მომხმარებელია. ძირითადად, ქლიავის, ხურმის, ვაშლის, ბანანის, ფინიკის, ლეღვის, ფორთოხლის, გრეიპფრუტის, გარგარისა და მსხლის ჩირის იმპორტი ხდება. იმპორტში ყველაზე დიდი წილი (25%) დიდ ბრიტანეთს უკავია. მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი, გვატემალა, კოლუმბია, ბანგლადეში და ეკვადორი.

მოცვი/ლურჯი მოცვი. მოცვის წარმოების კომერციალიზაცია საქართველოში ახლახან დაიწყო, თუმცა ექსპორტის მაჩვენებელი მზარდია (2014-$150 ათასი 2015-$215 ათასი;). ლურჯ მოცვზე საერთაშორისო მოთხოვნაც სწრაფად იზრდება, 2010-2014 წლებში ევროკავშირში მოცვის იმპორტი გაორმაგდა. საქართველოს ევროკავშირის ბაზარზე კონკურენტული უპირატესობაც აქვს ქართული მოცვი მწიფდება რამდენიმე კვირით ადრე, ვიდრე ევროკავშირის მთავარ მიმწოდებელ ქვეყნებში პოლონეთში, ნიდერლანდებსა და ესპანეთში. მაისის ბოლოდან ივლისის შუა რიცხვებამდე ქართველ მეწარმეებს შეუძლიათ საკუთარი პროდუქტი ევროპელ მომხმარებლებს შესთავაზონ ამ დროს ევროპაში კენკროვანი კულტურების კრეფის სეზონი ჯერ არ დაწყებულა, ამასთან, დამთავრებულია მოსავალი ლათინურ ამერიკაში, საიდანაც ხდება კენკროვანების ექსპორტი.

კივი. ახალი ზელანდიელების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, კივის მოსაყვანად ყველაზე კარგი კლიმატი ახალი ზელანდიის შემდეგ საქართველოში, კერძოდ, ფოთი-ზუგდიდი-გალი-ოჩამჩირის ტერიტორიაზეა. ქართული კივის ერთ-ერთი უპირატესობა მაღალი შაქრიანობაა. იტალიური კივის შაქრიანობის მაჩვენებელი 13,9%-ია, ქართულ კივის სიტკბოს შემცველობა კი 17,3%-ს შეადგენს. დღეს კომპანია **"ნერგეტა"** ერთადერთია, რომელიც ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში მოწეულ კივის ევროკავშირში ყიდის. „ნერგეტას" კივი უკვე მეორე წელია გერმანიაში Lidl-ის სუპერმარკეტებში - ბავარიაში, მიუნხენში, შტუტგარტში, დიუსელდორფში, დორტმუნდსა და სხვა ახლომდებარე ქალაქებში ბერძნული და

იტალიური კივის გვერდით იკავებს ადგილს. კომპანიას ხარისხის დამადასტურებელი სტანდარტი “გლობალ გეპიც” აქვს დანერგილი.

ბროწეული. ევროკავშირი ბროწეულის იმპორტს მთელი წლის განმავლობაში ახორციელებს, ყველაზე დიდი მოცულობით-მაისში. პიკურ პერიოდში საბითუმო ფასი კილოგრამზე 1,80 - 3 ევრომდე (ჯიშის მიხედვით) მერყეობს. ყველაზე პოპულარულია სახეობა-Wonderful. ბროწეული ევროპელებისთვის ეგზოტიკური ხილის კატეგორიაში გადის, მაღალ საფასო სეგმენტში იყიდება და მოთხოვნაც იზრდება. ევროპაში მთავარი მწარმოებელი ესპანეთია, სეზონი იქ ოქტომბრიდან იანვრამდე გრძელდება, ამ პერიოდში ბაზაწერი ევროკავშირში საკმაოდ კონკურენტულია, ამიტომ ექსპორტის განხორციელება არასეზონზე უფრო მეტად მიზანშეწონილია. თუმცა, შესაძლებელია ფასებით კონკურენციაც. ბროწეულისგან წარმოებული პროდუქცია სულ უფრო პოპულარული ხდება, წვენებში, სურსათის დანამატების სახით ტკბილეულსა და რძის პროდუქტებში (ჩრდილოეთ ევროპაში) და სოუსებში, საკმაზებსა და ბურღულეულში (სამხრეთ ევროპაში). დიდ ბრიტანეთში, სუპერმარკეტებში 100 გ დაფასოებული ბროწეულის მარცვლები 1,5 სტერლინგი ღირს.

კურკოვანი კულტურები. კურკოვანი კულტურა (ატამი, ვაშლატამა, ქლიავი, გარგარი და ალუბალი) ევროპის არა ერთ ქვეყანაში მოდის, ამიტომ ევროკავშირში განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტი მხოლოდ არასეზონზე-იანვრიდან-მარტამდე ხდება, როდესაც დეფიციტია, თუმცა, წლის ამ მონაკვეთში დეფიციტია საქართველოშიც, ამის მიზეზი პროდუქტის მცირე რაოდენობა და სამაცივრე მეურნეობების არარსებობაა.

ვარდის ზეთი. ევროპაში 1კგ ვარდის ზეთის ღირებულება, ადგილწარმოშობის მიხედვით, $7 000-10 000 აღწევს, განსაკუთრებულად ფასობს, თუ ის ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტია. ათასობით სახეობიდან კომერციულად ღირებული მხოლოდ სამი ჯიშის ვარდია - Rosa damascena (დამასკოს ვარდი) , Rosa centifolia და Rosa gallica (მაისის ვარდი). „დამასკოს ვარდის“ კულტივაციას ბულგარეთსა და თურქეთში

მისდევენ, „გალიკას“ კი - მაროკოში, ეგვიპტეში, ინდოეთსა და მცირე რაოდენობით - საფრანგეთში. თუმცა, მსოფლიო ბაზარს, თითქმის 100%-ით, ორი ტრადიციული მწარმოებელი - ბულგარეთი (40%) და თურქეთი (60%) - ინაწილებს. საქართველოში ვარდის ზეთის წარმოება არ არის განვითარებული, ერთ-ერთი კომპანია, რომელიც ვარდის ზეთის წარმოებას იწყებს კახეთში კომპანია „კახეთი ბიოა“, რომელიც პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტსაც გეგმავს გერმანელი პარტნიორის დახმარებით.

სტაფილოს თესლის ზეთი. ჰოლანდიური კვლევითი ცენტრის (CBI) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, მსოფლიო ბაზარზე ეკოლოგიურად სუფთა სტაფილოს თესლის ზეთის დეფიციტია და წარმოება ბაზრის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. სტაფილოს თესლის ზეთი ძირითადად კოსმეტიკასა და თავის მოვლის სხვა საშუალებებში გამოიყენება. ევროპული ორგანიზაცია ევროპისა და აზიის ქვეყნებს მოუწოდებს, დაინტერესდნენ ამ საკითხით და დაიწყონ სტაფილოს თესლის ზეთზე მუშაობა, რადგან ამით ევროპის ბაზარზე დამკვიდრების უნიკალური შესაძლებლობა ეძლევათ.

ჩაი. მსოფლიოში ბიო ჩაის დეფიციტია და დარგის სპეციალისტების თქმით, საქართველოს დიდი პოტენციალი გააჩნია, ვინაიდან ყველაზე ჩრდილოეთით წარმოების წერტილია, მავნებელი მწერებისგან დაავადებების რისკიც ნაკლებია, და ამიტომ პესტიციდების გამოყენებაც შეიძლება მინიმალური იყოს. ამასთან, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ქართულ ჩაიში ნაკლები ექსტრაქტულობაა, ანუ კოფეინის და ტანინის შემცველობა მცირე დოზითაა, ამის გამო დღის განმავლობაში ქართული ჩაის მრავალჯერადი მოხმარება მავნებელი არ არის.

მწვანილი. “ქართული მწვანილი მოდის წელიწადის ძალიან კარგ დროს: სექტემბრიდან- მაისამდე, ეს ის პერიოდია, როდესაც ევროპას მწვანილი სჭირდება”- ასე შეაფასა ჰოლანდიურმა კომპანიამ bilancia ქართული მწვანილი, მას შემდეგ რაც ევროკავშირში რეალიზაციის პოტენციალი შეისწავლა. კვლევის თანახმად, ქართულ

მწვანილს შეუძლია ევროპული ბაზრის 0,2% დაიკავოს, 1 კგ-ის მინიმალური ფასი 2-3, მაქსიმალური კი - 6 ევრო იქნება. საუბარია ოხრახუშის, კამის, ქინძისა და რუკოლას წარმოებაზე. რუკოლა საქართველოსთვის არატრადიციული სახეობაა, თუმცა ძალიან პოპულარულია იტალიასა და საფრანგეთში, ძირითადად ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, ეგვიპტესა და თურქეთში მოდის. bilancia-ს დასკვნით, ქართული მწვანილის ხარისხი კარგია და სასათბურე მეურნეობებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და სათანადო მოვლის შემთხვევაში, წარმოების მოცულობის 50%-ით გაზრდაც შეიძლება. ჰოლანდიური კომპანიის რეკომენდაციით, აუცილებელია, რომ ფერმერებმა კოოპერატივი დააფუძნონ, რაც შეამცირებს ახალი ტექნოლოგიებისა და GLOBAL GAP-ის სტანდარტის დანერგვის ხარჯებსა და წარმოების მოცულობასაც გაზრდის (მ. გაბულდანი 2016).

დაფნა. ევროპის ბაზარი: Eurostat-ის მონაცემებით, თურქეთისა და ინდოეთის შემდეგ, ევროკავშირის ბაზარზე განვითარებადი ქვეყნებიდან მე-3 ადგილს ქართული დაფნის ფოთოლი იკავებს. ექსპორტირებული 76%-დან 70% მხოლოდ თურქეთიდან შეტანილი დაფნის ფოთოლზე მოდის, თუმცა, ხშირად ევროპის ბაზარზე თურქული პროდუქტის სახელით ქართული დაფნაც ხვდება. დაფნის კულტურა ძირითადად თურქეთის ანატოლიის რეგიონსა და ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში ხარობს. საქართველოში კი, ძირითადად, სამეგრელოში, ხობის რაიონში მოდის, ასევე, მცირე რაოდენობითაა იმერეთში (თერჯოლა), გურიასა და აჭარაში.

ბიოღვინო. განვითარებადი ქვეყნებიდან ორგანული ღვინის ექსპორტის ყველაზე დიდი პოტენციალია ნორვეგიაში, შვედეთში, ფინეთში, დანიაში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში, ავსტრიასა და ბენილუქსის ქვეყნებში. გერმანია მსოფლიოში ორგანული ღვინის წამყვანი იმპორტიორია, წლიურად, დაახლოებით, 30 მილიონ ბოთლს ყიდულობს, ძირითადად, იტალიიდან და ესპანეთიდან, ვინაიდან, ევროპაში, ორგანული ღვინის ყველაზე მსხვილი მწარმოებლები ესპანეთი, საფრანგეთი და იტალია არიან. იმის მიუხედავად, რომ ორგანული ღვინო მაინც

რჩება ნიშურ ბაზრად, ზოგიერთ ქვეყანაში და მათ შორის: ნიდერლანდებში, გერმანისა და სკანდინავიის ქვეყნებში (დანია, ნორვეგია, შვედეთი და ფინეთი) უკვე კარგად აქვთ ჩამოყალიბებული ორგანული ღვინის ბაზარი.

თხილი, კაკალი, ნუში. საქართველო მსოფლიოში თხილის მწარმოებელი და ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულშია. ქართული თხილის 75%-ზე მეტის ექსპორტი დასავლეთი ევროპის ქვეყნებში ხდება. ევროკავშირის ბაზრებზე ყველაზე ძლიერი კონკურენტი თურქეთია, თუმცა ქართული თხილის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს მისი მაღალი ცხიმიანობა, რაც 7-8%-ით მეტია თურქული თხილის სახეობებთან შედარებით. აღნიშნული უპირატესობის გამოყენება შესაძლებელია წარმატებული საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიისთვის.

თხილთან ერთად მსოფლიო ბაზარზე კაკალსა და ნუშზე მოთხოვნაც ყოველწლიურად იზრდება. ევროკავშირში ყველაზე დიდი საექსპორტო ბაზარია გერმანია, რომელსაც ნუშის წარმოება არა აქვს და მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. გერმანიაში მიწის თხილის შემდეგ ყველაზე დიდი ოდენობით ნუშს მოიხმარენ. ევროპაში ნუშის მთავარი მიმწოდებელი ამერიკის შეერთებული შტატებია, რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, ევროკავშირის ქვეყნებში ნუში გააქვთ ირანს, სირიას, ჩილეს, უზბეკეთს, ავღანეთს, პაკისტანს, ყირგიზეთს, ინდონეზიასა და ბურკინა ფასოს.

თაფლი. ევროპის ბაზარი: ევროკავშირი მსოფლიოში თაფლის მოხმარებით პირველ ადგილზეა, გაზრდილი მოხმარებისა და შიდა წარმოების შემცირების გამო ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნას და მოხმარებული თაფლის დაახლოებით 40%-ს სხვა ქვეყნებიდან ყიდულობს. გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ბაზრები ინაწილებს თაფლის მთლიანი იმპორტის დაახლოებით 50%-ს. ხარისხთან დაკავშირებული შენიშვნების მიუხედავად, ჩინეთი რჩება ევროკავშირისთვის ყველაზე მსხვილ მიმწოდებლად. ჩინეთს ყოველწლიურად 83 ათას ტონაზე მეტი თაფლი შეაქვს, რაც მთლიანი იმპორტის 26%-ია. ჩინური თაფლის

მიწოდება სტაბილურია, ფასები კი დაბალი, იაფი მუშა ხელის გამო. განვითარებადი ქვეყნებიდან სხვა მიმწოდებლებს შორის არიან: მექსიკა (8%), არგენტინა (3%) და ტაილანდი (2%). ბოლო პერიოდამდე, არგენტინა იყო თაფლის ერთ-ერთი წამყვანი მიმწოდებელი ევროკავშირში, 2010 წლამდე კი-სიდიდით მეორე. თუმცა ცუდმა კლიმატურმა პირობებმა და არგენტინულ თაფლში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების არსებობამ შეამცირა მისი მოხმარება ევროპაში.

დასკვნა

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებისა და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის შესწავლის შედეგად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი დასკვნები და წინადადებები:

1. გასული ათწლეულები ადასტურებენ ეკონომიკური საქმიანობის სწრაფ გლობალიზაციას, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკის სახე. თანდათან იზრდება იმ ორგანიზაციების, ქვეყნებისა და სხვა ეკონომიკური აგენტების რიცხვი, რომლებიც ჩართულები არიან გლობალურ ეკონომიკაში. საქართველოშიც იზრდება როგორც ვაჭრობის, ისე ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების გლობალიზაციის ინტენსივობა. ამასთან, ვაჭრობის გლობალიზაციის ინტენსივობის ზრდა ჩამორჩება ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების გლობალიზაციას.
2. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ბაზრის საკითხები, ორგანიზაციულ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების ნაკრების ფორმულირება,

რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობების გადიდებას არსებული ობიექტური უპირატესობების გამოყენებით, წარმოადგენს მეტად აქტუალურსა და დროულს. იგი დაეხმარება ქვეყანას ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში, როგორიცაა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდა მსოფლიო ბაზრებზე, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოების დაბალანსებულ განვითარებასა და მოსახლეობაში სოციალური დაძაბულობის შემცირებას, ყოველივე ეს კი მოითხოვს საკითხის შესაბამის მეცნიერულ გააზრებას.

3. მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში სრულფასოვნად ინტეგრირება საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადასაჭრელად აუცილებელია საბაზრო პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობების განვითარება და მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ მიმართულებით WTO-ში გაწევრიანება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა.
4. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკისა, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.
5. საერთაშორისო ვაჭრობაში, უკანასკნელ წლებში ძლიერ გაიზარდა მომსახურებით ვაჭრობა, თუმცა იგი ჯერ კიდევ საქონლით ვაჭრობის მხოლოდ ნაწილს შეადგენს. საერთაშორისო ინვესტიციები, როგორც პირდაპირი ისე საპორტფელო, გაიზარდა უფრო სწრაფად ვიდრე

საერთაშორისო ვაჭრობა. ტრანსნაციონალური კორპორაციების შთანთქმებმა და შერწყმებმა, რაც უმთავრესად ხორციელდებოდა ფირმის საქმიანობის რესტრუქტურიზაციის მიზნით, გამოიწვია საერთაშორისო საინვესტიციო ნაკადების ძლიერი მოზღვავება;

6. საექსპორტო აგროპროდუქციის წარმოების გაზრდისათვის აუცილებელია რეგიონებში თვითმმართველობებთან შეიქმნას ეკონომიკური სააგენტოები, რომლებიც მოახდენენ ინფორმაციის შეგროვებასა და ექსპორტის ხელშემწყობი პროექტების დაგეგმვას.
7. საქართველოს საგარეო ვაჭრობის საექსპორტო სტატისტიკის მონაცემთა დამუშავებისათვის შეიქმნას სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც დღეისათვის წარმოებულ სამუშაოებს ავტომატურს გახდის, რაც შედარებით ნაკლები დროითი და საკადრო რესურსების დანახარჯების პირობებში უფრო მაღალი ხარისხის ინფორმაციის მიღების საშუალებას მოგვცემს.
8. გაკეთებული ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების ზრდაში მთავარ შემაფერხებელ, კრიტიკულ საკითხს წარმოადგენს წარმოებული პროდუქციის ხარისხი. წარმოებაში არსებული ჩამორჩენილი ტექნოლოგიები, მოძველებული დანადგარები და აღჭურვილობა, გამოუცდელობა თანამედროვე მენეჯმენტში და არსებული საერთაშორისო ტენდენციების არასაკმარისი ცოდნა აფერხებს მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებას. საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი გადამუშავებული პროდუქციის გატანა, როგორიცაა წვენები, კონცენტრატები და სხვა მოითხოვს მოდერნიზებულ გადამამუშავებელ საწარმოო ციკლს.

ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობის როლი გადამამუშავებელი მრეწველობის მდგრად განვითარებაში მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმაროს

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებსა და კოოპერატივებს პირველადი წარმოების ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რაც მდგომარეობს საერთაშორისო სტანდარტების შემოღებაში, საქონლის შეფუთვისა და ტრანსპორტირების მოწესრიგებაში.

9. ჩვენი კვლევის საფუძველზე გავაკეთეთ დასკვნა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა აზრით საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია:
   1. მეწარმეებისათვის დაბალპროცენტიანი სესხის გაცემა;
   2. სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა მცირე მეწარმეებისათვის;
   3. ქართული პროდუქციის კონკურსებზე გაგზავნის ორგანიზება;
   4. გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხი და ფასთან შესაბამისობა;
   5. ქვეყანაში ხელსაყრელი გარემო შექმნა მეწარმეობისათვის;
   6. ყველაზე მაღალი საექსპორტო პოტენციალი აქვს: სოფლის მეურნეობასა და ბუნებრივ რესურსებს.
10. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლებისათვის, აუცილებელია სოფლის მეურნეობის სამინისტრო რესურსების გაერთიანებაში დაეხმაროს საექსპორტო და ადგილობრივ ბაზრებზე მოთხოვნადი ისეთი პროდუქტების მწარმოებლებს (მათ შორის თაფლის), რომლებიც ცალკე ძალებით ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნას, ხოლო გაერთიანების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება მაღალი შედეგების მიღწევა. ასევე დაიგეგმოს ალპური მესაქონლეობის განვითარების მიზნობრივი პროგრამები. უნდა განხორციელდეს სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობის მასშტაბური პროექტები. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხელს უწყობს ფერმერთა აგრობაზრების და ბაზრობების, ფესტივალების (ღვინისა და ყველის) ორგანიზებას.

11. ექსპორტის სტიმულირების პოლიტიკა თანხვედრაში უნდა იყოს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებასთან, რაც მიიღწევა ფინანსური სისტემის გაუმჯობესებითა და საგადასახადო და საბაჟო საქმიანობის გამარტივებით. როგორც ჩანს, ექსპორტის სტიმულირების პოლიტიკა არ არის ერთი ან ორი ინსტრუმენტის წყობა, არამედ ინსტრუმენტების კომპლექტი. ექსპორტის სუბსიდირების პოლიტიკის გარდა საქართველო მეტ ნაკლები მასშტაბით უკვე იყენებს ექსპორტის ხელშეწყობის თითქმის ყველა სახის ინსტრუმენტს. ის ინსტრუმენტები, რომლებსაც შედარებით მეტი ეფექტიანობა ახასიათებს ექსპორტის ხელშეწყობის კუთხით.
12. აუცილებელია ქვეყანაში შემუშავებული იქნეს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების კომპლექსური პროგრამა აგრარული სფეროში, რომლის ცხოვრებაში გატარებაც უზრუნველყოფს სასურსათო უსაფრთხოების, მოსახლეობის მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებასა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის პოზიციების გამტკიცებას. ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის საჭიროა იმ სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების რეაბილიტაცია და საერთაშორისო სტანდარტებით აღჭურვა, რომელის განვითარებისათვის არსებობს სათანადო სანედლეულო ბაზა და ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები.

ამრიგად, გლობალიზაციის პირობებში საქართველოს საექსპორტო პოტენციალის შესაძლებლობებისა და იმპორტზე მოთხოვნის შესწავლის საფუძველზე უნდა შემუშავდეს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც დაიცავს საექსპორტო პროდუქციის მწარმოებლებსა და კოოპერატივებს, საგარეო ეკონომიკური კავშირების არასასურველი შედეგებისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არევაძე ლ. საქართველოს ექსპორტის პრობლემები და ექსპორტის წამახალისებელი პროგრამები. IDFI. 28 ივნისი 2016. https://idfi.ge/ge/problems-of-georgia-export
2. ბიზნეს პრეს ნიუსი (bpn). ლევან დავითაშვილმა აგრარული დარგის განვითარების 2017 წლის პრიორიტეტები წარადგინა. 2016. https://bpn.ge/finansebi/30253-levan-davithashvilma-agraruli-dargis-ganvitharebis-2017-tslis-prioritetebi-tsaradgina.html?lang=ka-GE

3. ბიძინაშვილი თ. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები მსოფლიომეურნეობრივი კავშირების გლობალიზაციის პირობებში. ავტორეფერატი. თბ. 2016.
4. გაბულდანი მ. საექსპორტო პოტენციალის მქონე აგროპროდუქტები და ნიშური ბაზრები ევროკავშირში. 06.05.2016. http://eugeorgia.info/ka/article/433/saeqsporto-potencialis-mqone-agroproduqtebi-da-nishuri-bazrebi-evrokavshirshi/
5. გიგაური ო., და სხვები. საერთაშორისო ბიზნესი გამომცემლობა უნივერსალი. თბ. 2011. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/Dakabadonebuli_Saertashoriso_Biznesi.pdf
6. გიგიაშვილი ო., ფუტკარაძე რ., თოლორდავა ჟ. და სხვები. საერთაშორისო ბიზნესი. ლექციების კურსი. გამომცემლობა უნივერსალი. თბ. 2011.
7. დუდაური თ. სოფლის მეურნეობის საექსპორტო პოტენციალი და მისი როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი. 2013. კონფერენციის შრომათა კრებული. გვ. 161-166.
8. ერქომაიშვილი გ., გრიგალიშვილი გ., ნარმანია დ. საერთაშორისო ბიზნესი გამომცემლობა უნივერსალი. თბ. 2011.
9. ერქომაიშვილი გ. ექსპორტ-იმპორტის ტენდეციები და პოლიტიკა საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბილისი. 2013. კონფერენციის შრომათა კრებული გვ. 105-107.
10. თევდორაძე ნ., პაპაშვილი ლ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO). თბ. 2005.

11. ლომთაძე მ. ბიძინაშვილი თ. . საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები. თბ. 2017. https://unigeo.edu.ge/ge/attachments/TeaBidzinashvili-monografia.pdf
12. მელქაძე ქ. ევროკავშირის ქვეყნებში ქართული ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი. 23.12. 2016. http://eugeorgia.info/ka/article/537/evrokavshiris-qveynebshi-qartuli-eqsportis-shemaferxebeli-faqtorebis-analizi/
13. მესხია ი. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ახალი ვექტორის ფორმირება. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბ.. 2014. კონფერენციის შრომათა კრებული. გვ. 38-40.
14. ნათელაური ი. საერთაშორისო ეკონომიკის და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თანამედროვე პრობლემები მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებში. თბ. 2013.
15. ნოზაძე ბ. წვენები და კონსერვების ექსპორტი ევროპაში შემცირდა, ხის ნაწარმის - გაიზარდა. თბ. 2016. http://eugeorgia.info/ru/latestarticle/77/wvenebi-da-konservebis-eqsporti-evropashi-shemcirda-xis-nawarmis---gaizarda/
16. ოქროცვარიძე ა., ოქროცვარიძე დ., ვადაჭკორია მ. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები. დამხმარე სახელმძღვანელო. თბ. 2009. https://novatori.files.wordpress.com/2011/02/cigni2020sagareo20ekonomikuri20urtiertobebi-2009.pdf
17. სამჭკუაშვილი ნ. დუდაური თ. ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარების ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის შრომათა კრებული. გვ. 23-27. თბ. 2018.
18. სამჭკუაშვილი ნ. საგარეო ვაჭრობის მარკეტინგი და და უცხოურ ბაზარზე შესვლის რისკების შეფასება. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. პაატა გუგუშვილის

ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბ.. 2013. კონფერენციის შრომათა კრებული. გვ. 552-555.

19. საქართველოს მთავრობა. „საქართველოს სოციალურ ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“ https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf
20. საქართველოს მთავრობა. საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020. http://enpard.ge/ge/wp-
21. საქართველოს მთავრობა. დადგენილება #131. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების დამტკიცების შესახებ. თბ. 3 ივნისი 2008. https://matsne.gov.ge/ka/document/view/6388
22. საქართველოს მთავრობა. დადგენილება #72. ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახე. თბ. 14 აპრილი 2009. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5068
23. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტო "აწარმოე საქართველოში". მისია და ხედვა. http://enterprisegeorgia.gov.ge/ge/aboutus/Mission--Vission?v=78
24. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საექსპორტო პოტენციალის მქონე ახალი სექტორების შესწავლა იწყება. 02.08.2017. http://www.economy.ge/?page=news&nw=275
25. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. რა არის DCFTA. http://www.moa.gov.ge/7/AboutDCFTA
26. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://www.geostat.ge/
27. საყვარელიძე რ. სარფიანად ვაჭრობის მოლოდინში. ჟურნალი: ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები. №5. თბ. 2007.

28. სოფლისა საფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა(ENPARD). საქართველოს სოფლის მეურნეობის მიმოხილვა 2006-2015. http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Agricultural-Review_GEO.pdf
29. ტაბაღუა ნ. საგარეო ვაჭრობა ანუ რამდენი გავიტანეთ და რამდენი შემოვიტანეთ 2017 წელს? ქრონიკა+. 04.02.2018. http://qronikaplus.ge/?p=14776
30. ფუტკარაძე რ. საქართველო - ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ტენდეციები. ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტი. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი. 2017. კონფერენციის შრომათა კრებული. გვ.494-497.
31. ფუტკარაძე რ. საქართველოს საგარეო ვაჭრობის აქტუალური საკითხების შესახებ. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბილისი. 2013. კონფერენციის შრომათა კრებული. ტომი 2. გვ. 51-57.
32. ქათამაძე დ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. თეორია და პრაქტიკა. დამხმარე სახელმძღვანელო. ბათუმი 2008. https://lib.bsu.ge/e-books/book_279.pdf
33. ქისტაური ნ. მელაშვილი მ. საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ასპექტები. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. პაატა გუგუშვილის ეკონომი-კის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფე-რენცია. თბ.. 2014. კონფერენციის შრომათა კრებული. გვ. 192-195.
34. ღაღანიძე გ. საქათველოს საექსპორტო პოტენციალის აქტუალური საკითხები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
35. ყორღანაშვილი ლ. საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის პრობლემა გლობალიზაციის პირობებში. ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბ.. 2016. კონფერენციის შრომათა კრებული. გვ. 528-532.

36. ხარაძე ლ. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მისია გლობალიზაციის პირობებში და მისი გავლენა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებზე. ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტი. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი. 2017. კონფერენციის შრომათა კრებული. გვ. 635-639.
37. ჯავახიშვილი რ. საქართველოს საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია გლობალიზაციის პირობებში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბ.. 2013. კონფერენციის შრომათა კრებული. გვ. 257-259.
38. Гелбрейт Дж. К. Экономические теории и цели обшества. Перевод с англйского. М. 1979.
39. Перунов С. Ю. Формирование и развитие экспортного потенциала регионаю Автореферат. 2015. https://rsue.ru/avtoref/PerunovSU/avtoref.pdf
40. Портер Майкл Е. Конкурентная стратегия. Пер. с англиского. М. 2006. www.mybiz.ru/index/php?page=474
41. Export Trading Company. Investorpedia. https://www.investopedia.com/terms/e/export-trading-company-etc.asp
42. Khan Dr. K., Anwar S. Special Economic Zones (SEZs) and CPEC: Background, Challenges and Strategies. 2017. http://www.pide.org.pk/psde/pdf/AGM32/papers/Special%20Economic%20Zones.pdf
43. Khan M. Z. EU renews GSP+ scheme for two years. February 21. 2018. https://www.dawn.com/news/1390653

დანართები

დანართი 1

საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2013-2018წწ. იანვარ მარტში.(მლნ.აშშ დოლარი)

წელი	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
2013	565,3	1622,1	1056,8
2014	695,8	1836,7	1140,9
2015	501,4	1796,5	1295,1
2016	442,6	1488,5	1045,9
2017	576,5	1713,4	1136,9
2018	740,3	2083,4	1343,1

დანართი 2

საქართველოს ექსპორტი და იმპორტი

		ექსპორტი		იმპორტი	
წელი	თვე	ათასი აშშ დოლარი	ცვლილება(%)	ათასი აშშ დოლარი	ცვლიდება(%)
2017	იანვარი	176774,5	44,7	502592,7	22,0
	თებერვალი	178910,1	13,0	588983,8	12,3
	მარტი	220843,5	36,3	621832,6	12,6
	აპრილი	211605,9	27,9	596410,3	7,0
	მაისი	215234,8	24,9	638319,0	4,5
	ივნისი	230813,3	37,4	645500,0	0,5
	ივლისი	212474,8	22,4	644882,3	7,4
	აგვისტო	236122,3	25,6	706255,4	2,1
	სექტემბერი	257521,1	27,3	689986,2	6,3
	ოქტომბერი	262736,8	38,3	733392,4	10,8
	ნოემბერი	236697,7	8,2	767202,9	18,4
	დეკემბერი	288236,7	50,0	847301,9	13,8
2018	იანვარი	222730,2	26,0	597485,2	18,9
	თებერვალი	223674,1	25,0	648243,2	10,1
	მარტი	293941,3	33,1	837684,7	34,7

დანართი 3

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2018 წლის იანვარი-მარტის ბრუნვის მიხედვით

ქვეყნები	ექსპორტი		იმპორტი		ბრუნვა	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი
თურქეთი	93539,7	12,6	311028,2	14,9	404567,9	14,3
რუსეთი	98207,0	13,3	212934,0	10,2	311141,0	11,0
აზერბაიჯანი	76435,2	10,3	193774,1	9,3	270209,3	9,6
ჩინეთი	20425,5	2,8	182335,6	8,8	202761,1	7,2
უკრაინა	31453,5	4,2	107445,1	5,2	138898,6	4,9
სომხეთი	54639,4	7,4	80569,4	3,9	135208,8	4,8
გერმანია	13227,1	1,8	98557,6	4,7	111784,8	4,0
საფრანგეთი	17965,5	2,4	92105,2	4,4	110070,7	3,9
აშშ	35727,7	4,8	74256,2	3,6	109984,5	3,9
ბულგარეთი	62940,0	8,5	37199,2	1,8	100139,2	3,5

დანართი 4

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში

პროდუქტის დასახელება	2017 წლის იანვარი მარტი		2018 წლის იანვარი მარტი	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი
სპილენძის მადანი	98359,1	17,1	118772,1	16,0
ფეროშენადნობები	80732,7	14,0	85147,4	11,5
ავტომობილები	35199,9	6,1	64858,4	8,8
ღვინო	31338,8	5,4	41849,0	5,7
მინერალური წყლები	22605,2	3,9	32066,0	4,3
აზოტოვანი სასუქები	20334,8	3,5	29442,2	4,0
ნავთობპროდუქტები	1573,6	0,3	28981,2	3,9
სამკურნალო საშუალებები	30425,4	5,3	27447,3	3,8

სპირტიანი სასმელები	23068,6	4,0	20772,3	3,7
თამბაქო	1509,7	0,3		2,8

დანართი 5

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს იმპორტში

	2017წლია იანვარი მარტი		2018 წლის იანვარი მარტი	
პროდუქტების დასახელება	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი
ნავთობპროდუქტები	121923,5	7,1	186881,1	9,0
ნახშირწყალბადი	137745,1	8,0	127375,2	6,1
ავტომობილები	108589,9	6,3	117976,4	5,7
სპილენძის მადანი	73897,8	4,3	79613,4	3,8
სამკურნალო საშუალებები	92123,8	5,4	72014,1	3,5
სატელეფონო აპარატები	39975,1	2,3	44663,8	2,1
ხორბალი	17728,3	1,0	28410,1	1,4
ელექტროენერგია	29763,5	1,7	27217,6	1,3
ტურბორეაქტიული ძრავები	7290,9	0,4	24768,8	1,2
გამომთვლელი მანქანები	11077,0	0,6	38182,1	1,8